კვირა, 11 მაისი 1924 წ. მეოთხე წელიწადი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სიმართლის ხმა

№ 25 ყოველკვირეული ჟურნალი № 25

რედაქცია და კანტორა ტფილისი, პლეხანოვის პროს. სასტუმრო „ნ ო ე“ ოთახი № 102.	ფასი 5 კაპ.	რედაქცია და კანტორა ღია ყოველ დღე { დილის 9—1-დე. საღამოს 3—5½-დე. კვირა-უქმე დღეს 10—3 ს.-დე.

ამხ. მუშებს და გლეხებს ვსთხოვთ მოგვაწოდონ წერილები და კორესპონდენციები ადგილობრივი ცხოვრებიდან.

დიდი გამარჯვება.

მეექვსე წელიწადია, რაც გერმანიაში რევოლიუცია დაიწყო და ამ ხნის განმავლობაში მრავალ პოლიტიკურ ცვლილებებს ჰქონდა იქ ადგილი.

იყო ერთფეროვანი კაბინეტი, შემდეგ მრავალ-ფეროვანი, დიდი კოალიცია, პატარა კოალიცია, ზომიერ-ბურჟუაზიული და უზომო ბურჟუაზიული და ვინ მოსთვლის კიდევ რანაირი.

უკანასკნელ ხანებში კი მარქსის ზომიერ-ბურჟუაზიული კაბინეტი უდგას ქვეყანას სათავეში.

გასული წლის შემოდგომაში გერმანია რევოლიუციის და ისიც ოქტომბრის წინა დღეებს განიცდიდა, მაგრამ კომპარტია ვერ აღმოჩნდა საკმაოდ მომზადებული ამისათვის და სოციალურ ძალთა ჭიდილში ზომიერ-ბურჟუაზიულ მიმართულებამ გაიმარჯვა.

ბურთი და მოედანი დარჩა ბურჟუაზიას და მასთან კოალიციაში მყოფ სოც. დემოკრატიას.

სოც.-დემოკრატიულ პარტიაში გასული წლიდან დიდი არევ დარევა სუფევდა და დღესაც სუფევს. ჩვენ მაშინ, როცა გასულ წლის მიწურულში გერმანიის რევოლიუცია დროებით დამარცხდა, ვამბობდით, რომ ამას უსათუოდ მოყვება მუშათა კლასის გამოფხიზლება და ის ზურგს შეაქცევს სოციალ-დემოკრატიულ პარტიასო.

ეს ჩვენი წინასწარი თქმა სავსებით გამართლდა. გერმანიის უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებში სასტიკად დამარცხდა სოც.-დემოკრატია, ხოლო ბრწყინვალედ გაიმარჯვა კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც ამას წინედ „გაუქმებულად“ გამოაცხადა გენერალ კარმ და მარქსის მთავრობამ.

აკრძალულმა, ჭერ-ქვეშ მოქცეულმა პარტიამ ამ არჩევნებში საოცარ გამარჯვებას მიაღწია.

იმ დროს, როცა მთავრობის რეპრესიები და დევნა მთელი თავისი სისასტიკით თავს ატყდებოდა შედარებით ნორჩ გერმანიის კომუნისტური პარტიის ორგანიზაციებს და მას გასაქანს არ აძლევდნენ, აი სწორედ ამ დროს ამ პარტიის გამარჯვება შეაშფოთებს და გონებას დაუკარგავს ყველა მის მტერს, ხოლო აღაფრთოვანებს და ბრძოლის წყურვილს გაუღრმავებს ყველა მის მეგობარს.

რა მოხდა?—

საპარლამენტო არჩევნების შედეგი ოფიციალური ცნობით ასეთია: სოც.-დემოკრატიამ მიიღო 5.970.000 ხმა, ცენტრმა—3.400.000 ხმა, გერმანიის ნაციონალურმა პარტიამ—5.755.000 ხმა, დემოკრატებმა—1.657.000 ხმა, კომუნისტებმა—3.612.000 ხმა, ბავარიის სახალხო პარტიამ 1.142.000 ხმა, ბავარიის გლეხთა კავშირმა 683.000 ხმა და ასე.

ამ რიგად სოც. დემოკრატებმა მიიღეს—100 ადგილი; გერმანიის ნაციონალისტურმა პარტიამ—96, ცენტრმა—52, სახალხო პარტიამ—45, დემოკრატებმა—25, კომუნისტებმა—61, ბავარიის სახალხო პარტიამ 15 და ასე.

აქედან აშკარაა, რომ სოც. დემოკრატიამ დაჰკარგა თითქმის ნახევარი ადგილი, მას ქონდა 186, ახლა მიიღო 100. კომუნისტებმა კი თავიანთი ადგილი გაადიდეს ოთხჯერ: ჰქონდათ 15 ადგილი, ახლა კი აქვთ 61 ადგილი.

რას გვეუბნება ეს ფაქტი?

ეს გვეუბნება იმას, რომ ძალთა მობილიზაცია, დაჯგუფება ხდება ორ პოლიუსზე: ერთია ბურჟუაზიული და მეორე კომუნისტური. შუა გზა, შუა ხაზი თანდათან კოტრდება.

ამით აიხსნება სწორედ ის გარემოება, რომ გერმანიის სოც. დემოკრატიამ დაჰკარგა 86 ადგილი, ხოლო კომპარტიამ შეიძინა 46 ადგილი. სოც. დემოკრატიის ხარჯზე გაძლიერდა ბურჟუაზიული და კომუნისტური პარტიები. ვერავინ ვერ იტყვის, რომ კომუნისტურ პარტიას ბურჟუაზიული წრიდან ვინმემ მისცა ხმაო, მაშასადამე ეს არის მუშების ხმა. და დღევანდელ პირობებში 4.000.000-დე მუშათა კლასის თავის გარშემო შემოკრება, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობის მქონე ფაქტია.

ეს გარემოება უსათუოდ ჩააფიქრებს მაკდონალდს და ის იგრძნობს ერთგვარ საშიშროებას თავის ფეხ ქვეშ.

პუანკარესაც დაუვლის ტანში ჟრუანტელი და დაეკარგება სიმშვიდე, წონასწორობა.

ვერც მეორე ინტერნაციონალი დადგება კარგ გუნებაზე, მაგრამ რას გააწყობს.

ფაქტია ის, რომ გერმანიის პროლეტარიატში კ-პარტიას მაგრად გაუდგამს ფესვები და ის თანდათან ორგანიზაციულად ჩამოაყალიბებს თავის გავლენას მუშებზე. საერთაშორისო რევოლიუციის პერსპექტივები ახლა უფრო მკაფიოდ იხედება.

ეს უდაო ფაქტია.

წერილი ნოე ყორდანიასადმი

ჩვენო დიდათ პატივცემულო და საყვარელო მასწავლებელო ნოე*).

შენთვის ალბათ მოულოდნელია ჩვენი ასეთი მომართვა, მაგრამ ამ ისტორიულ მომენტში, როცა ათეულ წლობით დაქსაქსული ქართველი მშრომელი ხალხი მთლიან ოჯახს უბრუნდება, როცა იქმნება ერთი ფრონტი კაპიტალისტურ სამყაროს წინააღმდეგ, შენი ჩვენთან ყოფნა მეტათ სასურველი და სასარგებლოა. მუშათა კლასსა და მოწინავე გლეხობას, როგორც საქართველოში, ისე ამიერ-კავკასიაში, ყოველთვის ახსოვს შენი სახელი, როგორც იშვიათ მასწავლებლის და სამყარო ლიდერის. მისი შენდამი სიყვარული განუსაზღვრელი იყო და არის. ამიტომ უნდა მას, რომ ჭირშიც და ლხინშიც თან გიყოლიოს.

ამხანაგო ნოე, საქართველოს გასაბჭოება ისე მოულოდნელად და პატარა ხნის განმავლობაში მოხდა, რომ ჩვენ ვერ მოვასწარით დაფიქრება, საერთო აზრის, სულისკვეთების ერთმანეთისთვის გაზიარება და ისე მოქმედება. საქართველოს მთავრობის და განსაკუთრებით შენი საზღვარ-გარედ წასვლა საბედისწერო დარჩა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიისთვის.

ახალმა ხელისუფლებამ ჩვენში ბევრი რამ ახალი მოიტანა. აქედან, გულახდილად უნდა გითხრათ ამხანაგო ნოე, რომ თუ რაიმე შეიწროებას და შეწუხებას ჰქონდა ადგილი, ეს მშრომელ მასას სრულიად არ შეხებია, არამედ თავს დაატყდა განსაკუთრებით საქართველოში მცხოვრებ შეძლებულ ელემენტებს. მაგრამ პარტიის დისციპლინის თანახმად ჩვენ გავაჩაღეთ იატაკ ქვეშ ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ამის შემდეგ ჩვენს ბრძოლას ისეთივე ბრძოლით უპასუხა ახალმა ხელისუფლებამ, როგორც ეს მის ბუნებას სჩვევია და მრავალი ჩვენი ამხანაგები ციხეებში მოექცნენ. მხოლოდ ამ მხრივ და როცა ჩვენ ვაძლევდით ამის სრულ საბუთს, ხდებოდა მუშათა კლასის ერთი ნაწილის დევნა, რომელიც ჩვენს პარტიაში ირიცხებოდა. მაგრამ ორ-ნახევარ წლის დაკვირვებამ დიდი გარდატეხა მოახდინა ჩვენი პარტიის მშრომელთა რიგებში. ერთი მხრივ ჩვენ ვრწმუნდებოდით ბრძოლის უნაყოფობაში, მეორე მხრივ კი სამხედრო კომუნიზმის დასრულება და საბჭოთა აღმშენებლობის ახალი ხანა მეტსა და მეტს გარანტიას ჰქმნიდა მშრომელი ხალხისათვის ყველა საზოგადოებრივ ეკონომიურ და პოლიტიკურ კითხვებში. მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენში დღეს, როგორც საზოგადო სოციალური უბედურება, ადგილი აქვს სხვა ქვეყნებთან შედარებით უფრო ნაკლებ უმუშევრობას, მუშათა კლასის ეკონომიური მდგომარეობა გაცილებით უფრო კარგია, ვიდრე ეს რევოლიუციის შემდეგ სხვა რომელიმე დროს იყო. ეროვნული კითხვა ისე გადასჭრა კომპარტიის მე-12 ყრილობამ და ჩვენში ადგილობრივ ისე მტკიცედ ტარდება ის ცხოვრებაში, რომ ამით საესებით კმაყოფილია ქართველი ინტელიგენციაც-კი, რაც შეეხება მუშათა სამკურნალო დახმარებას, აქაც დიდი მუშაობა სწარმოებს. დასასვენებელი სახლების დიდი ნაწილი ჩვენს აგარაკებზე მუშებით არის სავსე. შრომის ყველა კანონები მტკიცედ ტარდება ცხოვრებაში და ჩვენს სასარგებლოდაა მიმართული. სწავლა-განათლების საქმე ისეა დაყენებული, რაზე მეტსაც არავინ ჩვენგანი არ მოითხოვს. მუშათა ფაკულტეტები, პარტიული სკოლები, უნივერსიტეტების პროლეტარიზაცია და სხვა. ჩვენს პირობებში ამაზე უფრო მეტს მუშათა კლასის ეკონომიურ და მოქალაქეობრივ უფლებების უზრუნველყოფის მხრივ ვერავინ ვერსად შესძლებდა.

შეიძლება შენ მოგდის ინფორმაცია აქაურ მდგომარეობის შესახებ, მაგრამ გარწმუნებთ, რამდენადაც შენ ანგარიშს გაუწევ ჩვენ მუშურ სიტყვას და რევოლიუციონურ წარსულს, ის ერთობ ცალმხრივი და ტენდენციური იქნება.

და, როცა ყოველივე ეს თვალსაჩინო გახდა ჩვენი პარტიის მშრომელ ნაწილისათვის, ის თან და თან გადმოვიდა პროლეტარიატის დიქტატურის პლატფორმაზე, დღეს საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში დიდი თანაგრძნობა აქვს და განსაკუთრებით ეს ემჩნევა მუშათა წრეებსა, ამის შემდეგ ჩვენთვის აშკარა შეიქნა, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამარცხება საქართველოში და მის ნანგრევებზე ჩვენ ძალა-უფლების რესტავრაცია ისეთი ბოროტება იქნებოდა მუშათა კლასის წინააღმდეგ, რომელიც ჩვენ ადრე თუ გვიან დაღუპვის უფსკრულში გადაგვისვრიდა და, რასაც ისტორია არასოდეს არ გვაპატიებდა. რაც შეეხება ოქტომბრის რევოლიუციის დამარცხებას რუსეთის ფარგლებში—ეს პირწმინდა რეაქციის გაბატონებას დაედრებოდა, რაც შენაც ხშირად გითქვამს ჩვენთვის.

ჩვენ დიდი მსხვერპლი გავიღეთ ამ ორნახევარ წლის ბრძოლაში, მაგრამ დავრწმუნდით, რომ ისტორია ამისთვის მადლობას არ გვეტყოდა. ის მდგომარეობა, რომელსაც ხელს უწყობს არალეგარული ცეკა სრულიად არ ეკარება მუშის გულსა და სულს. დღეს სოც.-დემოკრატიულ პარტიის საქმე და სიტყვა სავსებით ასცდა მარქსისტულ თეორიაზე დაყრდნობილ რევოლიუციონურ ბრძოლას, რომელიც მას თავიდანვე ახასიათებდა. მუშები და გლეხები ასობით და ათასობით სტოვებენ პარტიას, არალეგარულ ცეკამ ვერც ერთი ლოზუნგი ვერ გადმოისროლა, გარდა ავანტიურისტულ ბრძოლისა, რომლის გარშემოც შესძლებოდა ამ პარტიის მშრომელ ელემენტს შემჭიდროება და დარაზმვა. პარტიის რიგები თან და თან თხელდებოდა და დღეს ფაქტია, რომ 12 (თორმეტი) ათას მუშამ და გლეხმა სამუდამოთ დასტოვა მისი რიგები. ამ რიცხვის გარდა, საგრძნობი ნაწილი ამხანაგების, რიცხვი 5 (ხუთი) ათას კაცამდე, რომელთაც დიდი რევოლიუციონური წარსული აქვთ, სავსებით ჩამოშორდა პოლიტიკურ ცხოვრებას და სრულ ნიღილიზმს მისცა თავი.

როგორც შენ არა-ერთხელ გითქვამს, ამხანაგო **ნოე**, ეს ხალხი იყო პარტიის აქტივი რევოლიუციის შემდეგ. რევოლიუციამდე-კი მხოლოდ ამათგან შესდგებოდა სოც.-დემოკრატიის რიგები და მხოლოდ ამათ ზურგზე გადადიოდა რეაქციასთან ბრძოლის მთელი სუსხი. 1917 წლის შემდეგ ჩვენი პარტია გასივდა და ავადმყოფურად გაიბერა, მისკენ მოილტვოდა და მას შემოეხიზნა, როგორც გაბატონებულ პარტიას, ყველა გამვლელი და ბედის მაძიებელი ადამიანი. რაც შეეხება რევოლიუციის შემდეგ ჩვენთან მოსულ მუშებსა და გლეხობას, რომლებიც მომეტებით ახალგაზრდები იყვნენ, დღეს ისინიც ჩვენთან არიან, ე. ი. სავსებით სდგანან პროლეტარიატის დიქტატურის პლატფორმაზე. პარტიის ასეთი დაშლა შეიძლება შენ რეპრესიების ნაყოფი გეგონოს, მაგრამ სად გაგონილა, რომ რეპრესიებს ასეთი მასიური გადახრა შეექმნას რომელიმე პარტიის სულისკვეთებაში, ან რატომ სხვა დროს არ ვუფრთხოდით ჩვენ რეპრესიებს. ესე რომ არ იყოს, ჩვენი გვარებით და ვინაობით შენ გაიგებ, რომ ძალდატანება ჩვენში ვერ მოახდენდა აზრისა და მოქმედების შეცვლას. უკვე მოხდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიის სრულიად საქართველოს ყრილობა. ყრილობაზე წარმოგზავნილი იყვნენ ყველა მაზრებიდან, გარდა რაჭა-ლეჩხუმისა (სადაც არჩევნები დაგვიანდა). დელეგატთა თითქმის მთელი შემადგენლობა ჩვენი ძველისძველი ამხანაგები იყვნენ, რომელთაც რუსეთის კატორღის საშინელებაც გამოუვლიათ და ჩეკის სარდაფებშიც მსხდარან. ყრილობამ პარტია დაშლილად გამოაცხადა და პროლეტარიატის დიქტატურის პლატფორმა გაიზიარა. ჩვენ ზოგიერთები გვისაყვედურებს, რომ პარტიის დაშლის შემდეგ არ ვინარჩუნებთ ცალკე ორგანიზაციის სახეს და სავსებით ვითქვიფებით კომუნისტურ პარტიის რევოლიუციონურ მასაში.

უპირველეს ყოვლისა ჩვენც და კომუნისტებიც მარქსისტები ვართ. ამას შენ თვითონაც გვასწავლიდი. ჩვენი მსოფლ-მხედველობის საფუძველი ერთი და იგივეა. ის მეცნიერულ მატერიალიზმს ეყრდნობა. რაკი მოისპო ჩვენში ტაქტიკური და ბოლო დროს წარმოშობილი პრინციპიალური უთანხმოებანი, ამის შემდეგ ჩვენ არაფერი დაგვრჩენოდა, რომ მაზე დავყრდნობოდით და საკუთარი პლატფორმა შეგვექმნა. მით უმეტეს ამას არც მუშათა კლასის მთლიანობის ინტერესები მოითხოვს. ჩვენ ვშიშობდით, რომ ცალკე პარტიის შექმნა, რაც უნდა ახლო მდგარიყო ის კომუნისტურ პარტიის პროგრამასთან ბოლოს და ბოლოს იმ განხეთქილებამდი მიგვიყვანდა, როგორც ამას ადგილი ქონდა სოც-.დემოკრატიულ პარტიის ორ ფრთის შორის. ყოველივე ამასაც რომ თავი დავანებოთ, ჩვენ ყველანი მუშები და გლეხები ვართ. არ გაგვაჩნია საიმისო იდეოლოგები, რომელნიც შესძლებდენ ახალი გზის გამონახვას და ჩვენი იდეურ ხელმძღვანელობას.

ჩვენთვის მეტად სამწუხაროა, რომ ამ საბედისწერო და საპასუხისმგებლო მომენტში შენ აქ არ იყავი. სოც.-დემოკრატიულ პარტიის მშრომელი ნაწილი ბედის ანაბარა დარჩა. მი-

*) ეს წერილი სრულიად საქართველოს სოც-დემ. მუშათა პარტიის ყრილობამ გაუგზავნა საზღვარ გარედ ნ. ყორდანიას ა./წ. 30 აგვისტოს. იბეჭდება განმეორებით, რომ უფრო ნათელი გახდეს მკითხველისათვის მიმართვა და პასუხების შინაარსი.

ატოვა საზღვარ-გარეთ წასულ მისმა ადრინდელმა ხელმძღვანელებმა, მას არ აკმაყოფილებდა ადგილობრივი ცეკას პოზიცია, რომლის გარშემოც ამხანად ათიოდე მოსწავლე ახალგაზრდობა და თითო-ოროლა ჩვენი გაჯიუტებული ამხანაგობა იყრის თავს. და ამ მშრომელთა ნაწილმა ჩვენი პარტიისა, თავის სოციალურ ბუნების კარნახით დაალწია თავი ბურუსს.

ჩვენ, რომლებიც ათეულ წლობით შენთან ვიყავით, ამხანაგო ნოე, ამ წასვლის, სამუდამო განშორების და გამომშვიდობების დროს, მოვალეთ ვრაცხთ ჩვენს თავს ამ ბარათით მოგმართოთ.

ჩვენ გვინდა, რომ შენც ჩვენს რიგში იყვე. ჩვენ არასოდეს არ დავიჯერებთ, რომ შენთვის ძვირფასი არ იყვეს ქართველი ხალხის ბედ-იღბილი, რომელსაც მთელი სიჭაბუკე და სიცოცხლე შეალიე. თუ ეს ასეა, ამ ხალხის კეთილ-დღეობა, მისი დღევანდელი ვითარება მოითხოვს შენს კვლავ მასთან დაბრუნებას. ჩვენ გვწამს, რომ მიუხედავათ იმ მდგომარეობის, რომელიც შექმნილია ევროპაში, მიუხედავად შენი პირადი მეგობრული დამოკიდებულების ევროპის სხვა და სხვა გავლენიან პირებთან და წრეებთან, შენ მაინც ქართველი მუშის კორძიან ხელით დაწერილ ბარათის სულს და გულს გაიგებ და კვლავ ჩვენს ბანაკში დაბრუნდები. ბევრის თქმა გვინდოდა შენთვის, მაგრამ ჩვენი ვინაობა და ამ წერილის შინაარსი საკმარისი იქნება იმისათვის, რომ გაიგო რა ხდება დღეს ქართველი მუშის და გლეხის გულში. ჩვენ ველით დიდ ნოეს კვლავ ჩვენს ბანაკში დაბრუნებას. ჩვენ გვჯერა, რომ ის იმედს არ გაგვიცრუებს. შენი პასუხის მოლოდინში მყოფნი ყოფილი ყრილობის პრეზიდიუმის წევრები და დელეგატები.

(ხელი უწერიათ პრეზიდიუმის და ყრილობის ყველა წევრებს).

ჩემი პასუხი

ამა იანვრის 24 პარიზში მყოფ რუსეთის მისიის საშუალებით მე მივიღე წერილი, დაწერილი 30 აგვისტოს 1923 წ. და ხელმოწერილი ყოფილი მენშევიკების მიერ ს. ფარნიევის მეთაურობით. წერილის ავტორნი მე მთხოვენ პასუხს.

პირველ ყოვლისა საყურადღებოა ის, რომ ამ წერილმა ხუთი თვე მოანდომა ჩემამდი მოსვლას; მაშასადამე ვიღაცას ინტერესი ყოფილა ის გაეჩერებია სადმე, ხოლო ხმა კი გაევრცელებია მის ავტორთა შორის, რომ წერილი კარგა ხანია გაგზავნილია, მაგრამ პასუხი არ გვაღირსაო. როგორც ხედავთ ამ ახალი ჩვენგან გამდგარი ჯგუფის პირველიეე ნაბიჯი იწყება მეტად საზრახი საქციელით. რასაკვირველია ამაში ბრალი ედება მხოლოდ ჯგუფის ხელმძღვანელთ, რომლებმაც არ შეასრულეს მათ მიმდევართა დავალება.

თვითონ წერილის შინაარსმა მე დამარწმუნა, რომ ავტორნი გამხდარან მსხვერპლნი ყალბი ინფორმაციისა, რომ მათ არ იციან რა ხდება ევროპაში, რუსეთში და გაბატონებულ კომუნისტურ პარტიაში. ეს არის არა მათი ბრალი, არამედ მათი უბედურება. სიმართლის გაგება ყოვლად შეუძლებელია იქ, სადაც არ არის პრესის თავისუფლება; ხოლო ჩვენში არ არის არა თუ პრესის თავისუფლება, არამედ არ არსებობს არავითარი პრესა გარდა მთავრობის პრესისა, სადაც სწერენ და აქვეყნებენ მხოლოდ იმ ცნობას, რაც ხელსაყრელია გაბატონებულთათვის და მალავენ და უარყოფენ იმ ცნობას, რაც მათ ბატონობას ოდნავადაც ბღალავს. ასეთ პირობებში მოქალაქემ არ უნდა დაუჯეროს სახელმწიფო პრესას. ყოფილ მენშევიკთა დანაშაულობა იმაშია, რომ მათ დაუჯერეს, ე. ი. ვერ გამოიჩინეს თვისებანი ნამდვილი მოქალაქების და ბოლშევიკების მიერ დაგებულ მახეში გაებენ.

აი მაგალითად, რას სწერენ იგინი: „ათეულ წლობით დაქსასული ქართველი მშრომელი ხალხი მთლიან ოჯახს უბრუნდება და იქმნება ერთი ფრონტი კაპიტალისტურ სამყაროს წინააღმდეგ“-ო. ნამდვილად კი ისინი მხოლოდ ახლა გამოეთხოვენ მშრომელი ხალხის მთლიან ოჯახს და „კაპიტალისტურ სამყაროს“ წინააღმდეგ აღმართულ ფრონტს. ეს ერთი ფრონტი შექმნილია არა ბოლშევიკებისაგან, არამედ ინტერნაციონალურ სოციალიზმისაგან, რომლის მიმდევარი ევროპის და ამერიკის პროლეტარიატი ერთ ფრონტშია ჩაბმული, საიდანაც გამორიცხულია ბოლშევიკები. რუსული ბოლშევიზმის მიმდევარნი მართალია არიან ევროპაში, მაგრამ ყველგან წარმოადგენენ სრულიად უმნიშვნელო ძალას და სულდგმულობენ მხოლოდ მოსკოვის ფინანსიურ საშუალებით. მაშასადამე წერილის ავტორნი, გამოეთიშენ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. გამოეთიშენ ამით ინტერნაციონალს და მით უღალატეს ერთ ფრონტს „კაპიტალისტურ სამყაროს წინააღმდეგ“.

საიდან წარმოიდგინეს იმათ, რომ ბოლშევიკები „კაპიტალისტურ სამყაროს“ ებრძვიან? განა მათ არ აციან, რომ სწორედ ბოლშევიკები ეპატიჟებიან „კაპიტალისტურ სამყაროს“ მობრძანდით და ჩვენთან ერთად იბატონეთო?

განა მათ არ იციან, რომ თვით რუსეთში აშვებულია ყველაზე უარესი ფორმა კაპიტალისტური მტაცებლობის „ნეპ“-ის სახით? მათ დაუჯერეს ბოლშევიკურ მყვირალა სიტყვებს, რითაც ესენი ფარავენ თავის დუხჭირ საქმეს. მე გადაჭრით მოგახსენებთ, რომ საბჭოთა სისტემა არის ახალი ფორმა პროლეტარიატის და მთელი ხალხის უსაშინელესი ექსპლოატაციის. კაპიტალისტური ექსპლოატაცია იძლევა ამავე დროს პოლიტიკურ საშუალებებს ბრძოლის და თავის დაცვისას: საბჭოთა ექსპლოატაცია ამ საშუალებებსაც არ იძლევა. მის ფარგლებში მთელი ხალხი გადაქცეულია ილოტებათ, მოკლებულია ყოველგვარ უფლებებს.

თქვენ მწერთ: ეკონომიური მდგომარეობა მუშათა კლასის ახლა უკეთესია ვინემ წინეთ. ვინ გითხრათ ეს? შეიძლება თქვენი და თქვენი ნაცნობების ეკონომიური მდგომარეობა გაუმჯობესდა ახლა, მაგრამ პროლეტარიატის, როგორც კლასის, მდგომარეობა დიდათ გაუარესდა მთელ რუსეთში და ამას ვამბობ არა მე მარტო, არამედ თვითონ კომუნისტები. უკანასკნელი გამოკვლევანი რუსეთის მუშის ბიუჯეტისა ამტკიცებენ, რომ რუსის მუშა დღეს ნაკლებს სჭამს, უფრო ცუდათ იცვამს, ვინემ ის სჭამდა და იცვამდა წინეთ; ხოლო ევროპის მუშასთან მისი მდგომარეობის შედარებაც კი არ შეიძლება. ერთად ერთი გაუმჯობესობა ეტყობა ბინის საკითხში (პეტერბურგში), მაგრამ, როგორც კი სახლების შეკეთება აუცილებელი გახდება, მაშინ მისი ბინის მდგომარეობაც გაუარესდება. და განა შეიძლება მუშის მდგომარეობის გაუმჯობესება იქ, სადაც წარმოება დაცემულია, უმუშევრობა გაძლიერებულია, ბრძოლის და გაფიცვის თავისუფლება მოსპობილია, პროლეტარიატის დამოკიდებულება სახელმწიფოსადმი ბატონყმურია? თქვენ ალბათ არ იცით ის დიდი გაფიცვები, რომელიც მოხდა ამ ზაფხულში და შემოდგომაზე დონეცის ბასეინში, ურალში, პეტროგრადში, სორმოვოში და სხვაგან; ალბათ თქვენ არც ის იცით, რომ გაფიცვის მეთაურთ ციხეში ყრიან, სოლოვეცის მონასტერში აგზავნიან, საცა ისინი უკიდურეს გაპირვებას განიცდიან: არც ის იცით ალბათ, რომ თვით კომუნისტურ პარტიის ეგრეთ წოდებულმა ოპოზიციამ საიდუმლო ფურცლებით მიმართა მოსკოვის მუშებს დატუსაღებულ მუშების დასაცავად. ნუ თუ ის მაინც არ იცით, რომ ბოლშევიკურმა რეჟიმმა პროლეტარიატი, როგორც კლასი, გაანადგურა: ის ხუთ მილიონიდან ორ მილიონამდე ჩამოიყვანა, ხოლო დანარჩენი სოფლებში „დაქსაქსა“ და გლეხობათ აქცია? ეს ხომ ოფიციალური ცნობებია.

თქვენ მწერთ: შრომის ყველა კანონები მტკიცეთ ტარდება ცხოვრებაში ჩვენ სასარგებლოთო. მე არ ვიცი რომელ კანონებზე ლაპარაკობთ. ძირითადი სოციალური კანონი რვა საათის სამუშაო დღე რუსეთში კარგა ხანია მომსპარია და თუ ეს ჩვენში კიდევ ვერ მოსპეს, ამას უნდა უმადლოდეთ არა ბოლშევიკებს, არამედ საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას, რომელმაც ეს კანონი ისე ძირგადგმულათ დასტოვა, რომ ის დღემდის მტრებმა ვერ შეარყიეს.

თქვენ მწერთ, რომ სწავლა-განათლების საქმე დღეს წარჩინებულად არ დაყენებული, ხოლო რუსეთის კომუნისტები, რომელნიც ამ დარგში მუშაობენ, წინააღმდეგს ამბობენ: ამაზედ უარესად ის არ ყოფილა დაყენებული, და მართლაც, სასოფლო სკოლები დახურულია, სასწავლო ნივთები არ იშოვნება, მასწავლებლები უჯამაგირობის გამო გარბიან, ერთი სიტყვით სახალხო განათლება მიწასთან გასწორებულია და თუ ჩვენში ეს კიდევ ასე არ არის, ამას უნდა უმადლოდეთ საქართველოს დემოკრატიას, რომელმაც განათლების საქმეს მტკიცე საძირკველი ჩაუყარა. თქვენ რაღაც ფარსაკი საქმე გგონიათ მუშათა ფაკულტეტები, მაშინ როდესაც აქ, ამ ბურჟუაზიულ პარიზში, ყოველ უბანშია ასეთი ფაკულტეტები, სადაც მუშას და საზოგადოთ

ყველა მოქალაქეს შეუძლია სრულიად უფასოდ განათლების მიღება. ხოლო აქ ამას არ უძახიან ფაკულტეტებს, არამედ სახალხო კურსებს.

თქვენ მწერთ: ეროვნული მდგომარეობაც დღეს კარგიაო, მე არ ვიცი ამას რას უწოდებთ თქვენ? ეს კი ვიცი, რომ ვინც კი საქართველოს ინტერესების დასაცავად ცოტა-ოდენი ხმა ამოიღო ბალშევიკებისაგანაც კი, ყველა ადგილებიდან გააძევეს და ქვეყნის მართვა-გამგეობა რუსის ურა-პატრიოტებს ჩაბარეს. მართალია, ეს ვაჟბატონები ქართველ გვარს ატარებენ, მაგრამ ამით არ იცვლება მათი ანტი-ქართული საქმიანობა. სპარსეთის ბატონობა საქართველოში მუდამ ტარდებოდა ქართველების მიერ და ამ ქართველებს ისტორიამ კაი ხანია წესი აუგო. და ან როგორ შეიძლება ერის მდგომარეობა იქ იყოს კარგი, სადაც ამ ერს არაფერს ეკითხებიან, სადაც მთელი ხალხი ბორკილებშია და მას უდარაჯებს უცხო ხიშტები. იცით რას ნიშნავს ქართველი კომუნისტები?—ეს განსაკუთრებითი არსებაა, ის არა გავს ბევრ რამეში არც ერთი სხვა ერის კომუნისტს. მაგალითად რუსის, გერმანელ, ფრანგ და სხვა კომუნისტს ვერც კი წარმოუდგენია თავისი ქვეყანა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გარეშე; თავისი ერის თვითგამორკვევა მათთვის ხელშეუხლებელი მცნებაა. ერთად ერთ გამონაკლისს შეადგენს საწყალი ქართველი კომუნისტი, რომელსაც საქართველო წარმოუდგენია მხოლოდ რუსეთის პროვინციად. ესენი რუსეთის შოვინისტებია. ესენი რომ ამ ახრივ სხვა ქვეყნის კომუნისტებს გვანდნენ, საქართველოს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას მართლა იცავდნენ, ჩვენ მათთან დავა ბევრი არ გვექნება; დამოუკიდებელ, თუნდაც კომუნისტურ, საქართველოში ჩვენ მოვნახავდით ჩვენს ადგილს და ბალშევიკებთან გვექნებოდა სადაო მხოლოდ შინაგანი საკითხები, დემოკრატიული და სოციალისტური პრინციპები. მაგრამ ჩვენ დღეს ვებრძვით მათ არა მარტო როგორც პარტია პარტიას, როგორც მენშევიკები ბოლშევიკებს, არამედ როგორც უცხოეთის იარაღს, საქართველოს დამოუკიდებლობის და თავისუფლების მტერთ. ეროვნული მომენტი დღეს ჩვენოვის უაღრესი მომენტია, ვინაიდან ის უკვე თან ატარებს ყველა დანარჩენ მომენტებს-დემოკრატიულს, სოციალისტურს და სხ. დამოუკიდებელი საქართველო ნიშნავს დემოკრატიის სრულ გატონობას. თქვენ თუ ეგ საკითხები გაინტერესებთ, წაიკითხეთ ჩემი წიგნი „ბრძოლის საკითხები“.

თქვენ მწერთ: ბალშევიკები ხომ ისეთივე მარქსისტებია, როგორც ჩვენ „ამას შენც გვასწავლიდიო“. უკაცრავათ. არა, ეს მე არასოდეს არ მისწავლებია. პირიქით, 1905 წლიდან ვწერდი, რომ ბოლშევიზმს არავითარი კავშირი არ აქვს მარქსიზმთან-მეთქი. წაიკითხეთ არა-ლეგალური გაზეთი „სოციალ-დემოკრატი“ 1905 წლის, გაიხსენეთ ნაძალადევში იმ დროს ჩვენსა და მათ შორის დავა, სადაც ჩვენ ვამტკიცებდით, რომ ისინი არიან მტრები დემოკრატიისა; წაიკითხეთ უკანასკნელად შარშანწინ დაბეჭდილი ჩემი წიგნი „ბალშევიზმი“, სადაც მე დოკუმენტალურათ დავამტკიცე, რომ ბოლშევიკები არიან არა მარქსისტები, არამედ მე-60 წლების ველიკორუსული უტოპისტები. ბალშევიზმი-ეს წმინდა რუსული, ველიკორუსული მოვლენაა და ამიტომ იმან ვერ გაიდგა ფესვი ვერსად, ვერც ერთ არა რუსულ ქვეყანაში.

თქვენ მწერთ: ჩვენ შევდექით პროლეტარიატის დიქტატურის პლატფორმაზეო. და მერე ვინ მოგახსენათ, რომ ან რუსეთში, ან ჩვენში არსებობდეს პროლეტარიატის დიქტატურა? და როგორ შეიძლება პროლეტარიატის დიქტატურა იყოს იქ, სადაც ამ პროლეტარიატს არავითარი უფლება არა აქვს. უფლება თავისუფალი სიტყვის, ბეჭდვის, კითხვის, ყრილობის, გაფიცვის და სხ. თქვენ ალბად გაგიგონიათ, რომ დღეს თვით კომუნისტურ პარტიაში დავაა იმაზე, რომ პარტიას უნდა ქონდეს თუ არა უფლება თავისუფალი კამათის და აზროვნების. თვით კომუნისტებმა დაამტკიცეს, რომ არსებობს დიქტატურა არა პროლეტარიატის, არა თვით კომუნისტურ პარტიის, არამედ რამოდენიმე პირის, რომელნიც ბრძანებლობენ პარტიაში და პროლეტარიატში. ეს არის დიქტატურა ჯგუფის და არა კლასის, ეს ამბავი რომ იცოდეთ, მაშინ არ იტყოდით პროლეტარიატის დიქტატურა არსებობსო.

თქვენ ამბობთ: საბჭოთა ძალის დამარცხება ჩვენში იქნებოდა ბოროტება, ხოლო რუსეთში კი გამოიწვევს რეაქციასო, ეს, რასაკვირველია დამოკიდებულია იმაზე, თუ ვის რა მიაჩნია ბოროტებათ. მაგალითად, დესპოტიისათვის ხალხის ბატონობა დიდი ბოროტებაა. ამიტომ არ მიკვირს, როცა ამ დესპოტიის მატარებლები, კომუნისტები, ხალხის უფლებებს ებრძვიან; მაგრამ სოციალისტისათვის, დემოკრატისათვის, საბჭოთა ძალა-უფლების დამარცხება საქართველოში ნიშნავს ხალხის სუვერენიტეტის აღდგენას, დემოკრატიის გაბატონებას, თავისუფლების დამყარებას და ბრძოლის საშუალებების გაფართოვებას. რუსეთში საბჭოთა დამარცხება რას გამოიწვევს ამის ამოცნობა დღეს ძნელია, ხოლო ერთი შემიძლია ვთქვა: რუსეთში არასოდეს არ იქნება ასეთი მკაცრი რეაქცია, როგორც დღეს არის. ძველი რეაქციის ეკონომიური საფუძველია მიწათმფლობელობა. რუსეთში კერძო მიწათმფლობელობა მოისპო, ძველი კლასები ძირ ფესვიანად ამოვარდნენ, მაშასადამე მათი პოლიტიკური აღდგენა ყოვლად შეუძლებელია და თუ ბოლშევიკები წინააღმდეგს გაიძახიან კიდევ, ამით ისინი მხოლოდ ფარავენ მეორე ბრძოლას, ახალ ფრონტს, რომელიც მათ წინააღმდეგ აღიმართა და უქადის დამარცხებას. ბრძოლაა დღეს არა რეაქციისა და ბოლშევიზმს შორის, არამედ ბოლშევიზმის და დემოკრატიის შორის, ტირანიის და თავისუფლების შორის. ბოლშევიზმი დაჭრილი ცხოველივით ფართხალობს ევროპის კაპიტალიზმის, ნეპის და სახელმწიფო სოციალიზმის შორის. ქვეყნად არ ყოფილა ისეთი ტირანია, რომელიც არ დამარცხებულიყოს; ბოლშევიკური ტირანიაც ისტორიის მიერ განწირულია, ის ადრე თუ გვიან სამარეში უნდა ჩაესვენოს. ამ განაჩენს ვერ შეცვლის თვით განგებაც.

პოლიტიკაში ყველაზე უარესია აჩქარება... თქვენ გული გაგტეხიათ, როცა ამბობთ, რომ ბოლშევიკებთან ბრძოლა უნაყოფოაო. სამი წელიწადი ვერ გაძელით. მაგრამ როცა ნიკოლოზის ბატონობას ვებრძოდით, განა მაშინ ვამბობდით: რომ ეს ბრძოლა უნაყოფოაო, თუმცა ეს ბრძოლა რამდენიმე ათეული წელიწადი გაგრძელდა და არც უნაყოფოდ დარჩენილა. რა პირობებშიც დაიქცეოდა ის? ჩვენ ვიცოდით მხოლოდ, რომ ის დაიქცეოდა და ვიცით დღეს ის, რომ ბოლშევიკური ხელისუფლება უეჭველად დაიქცევა. როდის და რა პირობებში ეს მოხდება, რასაკვირველია, დღეს არ ვიცით, ამიტომ სრულიად არ ვაძლევ მე მნიშვნელობას დროს; შეიძლება განელოს წლეებმა. შეიძლება თვეებმა, ეს მეორე ხარისხოვანი საკითხია, მთავარი საკითხი არის პრინციპი, გზა, რომელზედაც ჩვენ და ისინი ვდგევართ და მე ვამბობ გადაჭრით, რომ მათი გზა მიდის უფსკრულისაკენ და ჩვენი გზა მიდის აღორძინებისაკენ.

ამიტომ, როცა თქვენ მეპატიჟებით—ჩვენ გამოგვყევიო, რა უნდა გიპასუხოთ გარდა ცნობილი ფრაზისა: (ოჰ, წმინდაო გულუბრყვილობავ).

მე გაფრთხილებთ და კიდევ დაფიქრდით. სჯობს სულ გაშორდეთ პოლიტიკას, ვინემ ლახვარი ჩასცეთ თქვენ დედას.

თქვენ აყევით მარტინოვს, რომელმაც რეგენგატობა და ოპორტიუნიზმი ხელობად გაიხადა. ის იყო პირველად „ეკონომისტი“, შემდეგ „რაბოჩედელეცი“, შემდეგ „ისკროველი“, შემდეგ მენშევიკი. ახლა ბოლშევიკი. ალბად ახლა უკვე მოფიქრებული აქვს ბოლშევიზმის დაქცევის შემდეგ სად უნდა გაძვრეს. ერთი სიტყვით, ვისი ერდოკ მაღალია, იგი მისი მაყარია. ერიდეთ ასეთ ხალხს, ესენი ხრამში გადაგჩეხენ.

ამით ვათავებ ჩემს პასუხს, დრო კიდევ გაქვთ შემობრუნების და თუ მაინც თქვენს ახალ გზას განაგრძობთ, აღარ გვითხრად მომავალში: გვაპატიეთ, არ ვიცოდით რას ვშვრებოდითო.

პარიზი. 30 იანვარი **ნ. ჟორდანია.**

ნ. ჟორდანიას საპასუხო წერილის შესახებ.

ჩვენ მივიღეთ ნ. ჟორდანიას წერილი, რომელსაც უცვლელად ვათავსებთ იმ მიზნით, რომ დაინახონ ყველა მუშებმა და გლეხებმა მთელი სიკოტრე, იდეური დაკნინება და სულიერი სიღატაკე საზღვარ გარეთ მოკალათებულ საქართველოს მენშევიკების.

ნ. ჟორდანიას პასუხი არის პასუხი მთელი ქართველი ემიგრაციის, რომელიც დღეს გაერთიანებულია ერთ ნაციონალურ ფრონტზე ნაციონალ-დემოკრატებიდან დაწყებული მენშევიკებამდე. ამ ფრონტის მეთაურია ნ. ჟორდანია.

ჩვენ როცა ვუგზავნიდით ნ. ჟორდანიას წერილს, სრულებითაც არ ვიყავით დაიმედებული, რომ მისი პასუხი იქნებოდა აუცილებლად დადებითი ჩვენთვის. ჩვენ მხოლოდ მოვიხადეთ ჩვენი მოვალეობა იმ პირისადმი, რომელიც სათავეში ედგა მენშევიკურ მოძრაობას და დემოკრატიულ მთავრობას.

უბრალო, ელემენტარული თავაზიანობა მოითხოვდა, რომ აგვეხსნა ყველა ის მიზეზები, რამაც გვაიძულა მენშევიკური პარტიის დატოვება იმ პირისთვის, რომელიც ათეული წლების განმავლობაში იყო ჩვენი იდეური ხელმძღანელი.

მიღებული პასუხი კი უფრო აღრმავებს და ასაბუთებს, ავტორის სურვილის გარეშე, იმ გზას, რომელზედაც რამოდენიმე ათასი ყოფილი მენშევიკი დადგა გასული წლის აგვისტოში.

განვიხილოთ ეს პასუხი.—

ნ. ჟორდანიას პასუხი იწყება ბრალდებით, თითქო ვიღაცამ განგებ დააგვიანა წერილის გაგზავნა მისთვის.

პირიქით, ყველას სურვილი იყო ეს წერილი მას დროზე მისვლოდა. ეს იქიდანაც სჩანს, რომ, როცა 1923 წლის დეკემბერში აქ ჩამოვიდა პარიზიდან ერთი ამხანაგი, პირველი ჩვენი კითხვა იყო, მიიღო თუ არა ნ. ჟორდანიამ ჩვენი წერილი. და როცა გავიგეთ, რომ წერილი ჯერ არ იყო მისული, ჩვენ გავატანეთ იმ ამხანაგს სპეციალური ფოსტა, სადაც იყო არა მარტო წერილი ნ. ჟორდანიასადმი, არამედ მთელი სტენოგრაფიული ანგარიშები ჩვენი ყრილობის და სხვა და სხვა მრავალი მასალა მხოლოდ იმ მიზნით, რომ საქართველოს ემიგრაცია გასცნობოდა ამ მასალებს და დარწმუნებულიყო ს. დ. პარტიის სრულ ლიკვიდაციაში. აქედან ყველასათვის აშკარაა, ჩვენი მიზანი იყო დროზე მიეღო ნ. ჟორდანიას ჩვენი წერილი, მაგრამ თუ ეს არ მოხერხდა, ამაში დამნაშავეა საფოსტო პირობები და არა ჩვენ.

ყოველ შემთხვევაში ამას არ აქვს მნიშვნელობა არც ნ. ჟორდანიასათვის და არც ჩვენთვის, ვინაიდან ის ვერ იტყოდა იმაზე მეტს, რაც სთქვა, ამიტომ თუ წერილს დააგვიანდა, ამით არავის არაფერი არ დაუკარგავს.

ნ. ჟორდანია ჩვენ მიერ აღებულ ხაზს ხსნის იმით, რომ ჩვენ არ გვაქვს სწორი წარმოდგენა იმის, თუ რა ხდება საბჭოთა ქვეყნებში.

თურმე პარიზში უფრო მეტი წარმოდგენა ქონიათ, იქ უფრო მეტი ინფორმაცია ქონიათ აქაური მდგომარეობის შესახებ, ვიდრე ჩვენ, საბჭოთა სახელმწიფოში.

აი ლოღიკა!

ჩვენ ვიცით როგორი ინფორმაცია იბეჭდება იმპერიალისტურ ქვეყნების და თეთრ ემიგრაციის პრესაში საბჭოთა სახელმწიფოების შესახებ. ეს ინფორმაცია არა ერთხელ ყოფილა გადმობეჭდილი საბჭოთა გაზეთების მიერ მხოლოდ იმ მიზნით, რომ ჩვენს მუშებს და გლეხებს დაენახათ თუ რა მასალით იკვებება საზღვარ გარეთის თეთრი ემიგრაცია.

სულ რამდენიმე თვის წინეთ რიგის გაზეთებში იყო დაბეჭდილი დიდი ასოებით ცნობა საქართველოში აჯანყებისა და სახ. კომისართა საბჭოს დაპატიმრების შესახებ.

ამნაირი სენსაციური ცნობები სისტემატიურად იბეჭდება თეთრ პრესაში. **და ნ. ჟორდანია ფიქრობს, მისი სურვილია დაიჯეროს, რომ ეს სენსაცია უფრო მართალია, ვიდრე ის, რასაც ჩვენ ყველანი ჩვენივე თვალებით ვხედავთ.**

ეს კი არის არა ბრალი, არამედ უბედურება თვით ნ. ჟორდანიას და მისი მიმდევრების, რომლებიც ამ ყალბ, განგებ შეთხზულ ინფორმაციის იქით ვერაფერს ხედავენ.

მახეში ებმება, მოღალატეა ის, ვინც თხზავს ყალბ ცნობებს და მის მიერ შარა გზაზე გაგდებულ ხმებს თვითვე იჯერებს, ამ ყალბ ხმებზე აშენებს მის პოლიტიკას, ღალატობს მუშათა კლასის ინტერესებს და აკეთებს საერთაშორისო ბურჟუაზიის საქმეს, და არა ის, ვინც სინამდვილეში ჩაიხედა, ასწონ-დასწონა თავის თვალით ნახული ფაქტები და გამოიჩინა იმდენი მოქალაქეობა და გამბედაობა, რომ უარყო ათეული წლების განმავლობაში შეთვისებული მსოფლ-მხედველობა, როცა დარწმუნდა ამ მსოფლ-მხედველობის ღალატში მუშათა კლასისადმი.

რომელ პრესის თავისუფლებაზე ლაპარაკობს ნ. ჟორდანია?

მუშათა კლასის პრესა თავისუფალია, მაგრამ ნურას უკაცრავათ, თუ კონტრ-რევოლიუციონური პარტიებს დ მუშა-გლეხთა ხელისუფლების მოწინააღმდეგეს არ აძლევენ პრესის თავისუფლებას. ან ვის მოსწრებია, რომ შენს მოწინააღმდეგეს მისცე შეიარაღების უფლება. პრესა კი ერთი საუკეთესო იარაღია მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში, და განა თვით დემოკრატიული მთავრობა პრესის თავისუფლებას აძლევდა მის მოწინააღმდეგეს? განსხვავება წარსულსა და არსებულს შორის მხოლოდ იმაშია, რომ დემოკრატიული მთავრობა სდევნიდა კომუნისტურ პრესას და ფართო გზას აძლევდა ეროვნულ დემოკრატების დ სხვა კონტრ რევოლიუციონურ პარტიების **პრესას, ხოლო მუშა-გლეხთა ხელისუფლება ფართე გზას აძლევს მუშათა პრესას და ებრძვის კონტრ-რევოლიუციას.**

კიდევ ერთი ზღაპარი, რომელსაც ბურჟუაზიის აგენტები ხშირად იმეორებენ, თითქო ევროპაში კომუნისტები წარმოადგენენ უმნიშვნელო ძალებს და სულდგმულობენ მხოლოდ მოსკოვის ფინანსიური საშუალებით“.

მესამე ინტერნაციონალი (კომინტერნი) არსებობს 1919 წლიდან.

მეორე ინტერნაციონალი კი არსებობს 1889 წლიდან.

ეხლა შეადარეთ კომინტერნის ზრდა მეორე ინტერნაციონალის ზრდასთან და აშკარა იქნება თუ როგორი სისწრაფით იზრდება კომინტერნი.

შეადარეთ მუშაობა, გზა, პოლიტიკა კომინტერნის მეორე ინტერნაციონალის გმირების მუშაობასთან და ნახავთ, რომ პირველი მაგრად სდგას წმინდა კლასიურ პოზიციაზე, მეორე კი ბურჟუაზიის ლაქიათ იქცა.

რითი განსხვავდება მეორე ინტერნაციონალის ბელადის მაკდონალდის ან ებერტის მთავრობა ჩვეულებრივ ბურჟუაზიულ მთავრობისაგან? არაფრით.

მუშათა კლასი ხედავს ამას და ამიტომაა, რომ ის თანდათან შორდება მეორე ინტერნაციონალს და თანდათან თავს იყრის მესამე ინტერნაციონალის ირგვლივ.

თვით ის ფაქტი, რომ დედამიწის ერთი მეექვსედ ნაწილზე სავსებით, ხოლო ყველა სახელმწიფოებში საგრძნობლად ფეხ მოკიდებულია კომინტერნის გავლენა, აშკარა დამამტკიცებელია იმისი, რომ მუშათა კლასის საღი მოძრაობა იმარჯვებს და რომ ცოტა ხნის განმავლობაში კომინტერნმა უკან ჩამოსტოვა დიდი დისტანციით 35 წლის ქალარა მეორე ინტერნაციონალი. ამიტომ ჩვენ კი არ გამოვეთიშეთ ინტერნაციონალს, არამედ ისინი, რომელნიც კაი ხანია ჩამოშორდა მუშათა კლასის გზას და გვერდში ამოუდგა საერთაშორისო ბურჟუაზიას. მეორე ინტერნაციონალი, რომელიც საერთაშორისო ბურჟუაზიის ბატონობის იარაღათ გახდა, რომელიც ფაქტიურად წარმოადგენს ბურჟუაზიის აღმასრულებელ კომიტეტს, უკვე ჩამოშორდა საერთაშორისო სოციალიზმის საქმეს, საერთაშორისო პროლეტარიატს.

ასეთივე ზღაპარია მეორე მტკიცება ნ. ჟორდანიასი, თითქო მუშათა კლასი რუსეთში განადგურებულია.

მართალია, სამოქალაქო ომის პირობებში, როცა ქარტაზე იდვა რევოლიუციის მონაპოვართა არსებობა, შიშველ-ტიტველი მშიერი მუშები გაფანტულ იყვნენ სამოქალაქო ომის ფრონტებზე ან სოფლებში იყვნენ დაფანტული პურისათვის, მაგრამ პროლეტარიატმა გაიმარჯვა ამ ბრძოლაში. მუშათა კლასის მტრები სამუდამოდ დამარცხდნენ და ძველი მუშები უკვე დაუბრუნდნენ ფაბრიკა-ქარხნებს, წაიკითხეთ, თუ გნებავთ ამხ. ზინოვიევის უკანასკნელი თეზისები პარტიის ახალ ამოცანებზე და შინა პარტიულ მუშათა დემოკრატიაზე და იქაც ნახავთ, რომ **ძველი საპატიო პროლეტარიატი უკვე დაუბრუნდა თავის ქარხანას.**

ნ. ჟორდანიასათვის ახალი ამბავი ყოფილა, რომ ბოლშევიკები ებრძვიან „კაპიტალისტურ სამყაროს“.

განა თვით ის ფაქტი, რომ საბჭოთა სახელმწიფოებში ამ ჟამად კაპიტალისტური წესწყობილება განადგურებულია, ხოლო კაპიტალისტურ ქვეყნები თავიანთ მემორანდუმებში უყენებენ საბჭოთა მთავრობას ერთ უმთავრეს მოთხოვნილებათ კომუნისტური პროპაგანდაზე ხელი აიღონ მათ ქვეყნებში, არაა ყველასათვის აშკარა დამამტკიცებელი, რომ ბოლშევიზმი ებრძვის კაპიტალისტურ წესწყობილებას? აიღეთ თუნდაც რ. კ. პ. ცეკა უკანასკნელი პლენუმის თეზისები შინა ვაჭრობისა და კერძო კაპიტალთან ბრძოლის შესახებ.

განა ის ფაქტი, რომ ბოლშევიკები ეპატიჟებიან უცხო კაპიტალს საბჭოთა ქვეყნებში კონცესიებზე ან ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღება მხოლოდ იმ მიზნით, რომ პროლეტარიატის დიქტატურას ექნეს მაგარი ეკონომიური ბაზა, არის დამამტკიცებელი რუსეთში კაპიტალისტური წესწყობილების შემოღების?

და თუ მართალია ნ. ჟორდანია, რომ რუსეთში ბოლშევიკები მართლა იღებენ კაპიტა-

ლისტურ წესწყობილებას, მაშინ ვეკითხებით მას, რაღას გარბის საზღვარ-გარეთ?

თვითონ ხომ დიდი მომხრე არის დღევანდელ პირობებში კერძო კაპიტალის გამაგრების?

ჩვენ ნ. ჟორდანიასაგან ველოდით, მოვითხოვდით უფრო დადებით, დასაბუთებულ პასუხს.

მას, როგორც ბელადს აქ ოდესღაც გაბატონებულ მენშევიკურ მიმართულებისა უნდა მიეცა შესაფერი მასალა საწინააღმდეგო აზრის დასამტკიცებლად. სამწუხაროდ, ის ვერ გასცილდა უბრალო სოფლის პროპაგანდისტის მეთოდს და მხოლოდ დემაგოგიური ფანდებით ფიქრობს ფონს გასვლას.

უიმედოთ დაკარკულია პროლეტარიატისათვის ის, ვინც კაპიტალისტურ წესწყობილებას მაღლა აყენებს საბჭოთა წესწყობილებასთან შედარებით.

ნ. ჟორდანიას აზრით საბჭოთა სისტემა არის უსაშინელესი ფორმა პროლეტარიატის და მთელი ხალხის ექსპლოატაციის, გაცილებით საშინელი, ვიდრე კაპიტალისტური სისტემა.

ამაზე შორს წასვლა შეუძლებელია. ნ. ჟორდანია მივიდა იმ წერტილამდე, საიდანაც იწყება საშინელი რეაქციონური მიმართულება.

ერთი მუჯა კაპიტალისტების ბატონობას ის აყენებს გაცილებით მაღლა მშრომელი ხალხის ბატონობასთან.

ვეკითხებით ნ. ჟორდანიას, როდის უფრო იყო მუშათა კლასი ჩაბმული სახელმწიფოს აღმშენებლობითი საქმეში?

ნოე ჟორდანიამ მოიგონოს რამდენი ამომრჩეველი ყავდა თუნდაც თბილისის ქალაქის თვითმართველობას, როცა არჩევნებში მონაწილეობის უფლება ყველას ქონდა: მღვდელს ვაჭარს, მედუქნეს და სხვა, ვისაც კი შეუსრულდებოდა 18 წელი.

50 ათას ამომრჩევლებზე მეტი არ ყავდა თბილისის ქალაქის თვითმართველობას მენშევიკების დროს. ამათში მუშები შეადგენდენ არა უმეტეს 20—25 პროცენტისა. არჩევნებში მონაწილეთა პროცენტი კი 40-ზე ზევით ძლივს ადიოდა

საბჭოთა წესწყობილების დროს, თბილისის მეოთხე მოწვევის საბჭოს მარტო ქალაქში ყავდა 99.062 ამომრჩეველი. ამომრჩევლები, საბჭოთა კონსტიტუციის მიხედვით, არიან მხოლოდ მუშები, მოსამსახურენი, გლეხები და მათი ოჯახის წევრები. არა მშრომელი ელემენტი საბჭოთა არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს. აქედან არჩევნებზე გამოცხადდა 61.826 სული, ე. ი. 77,6 პროც.

შეიძლება ნ. ჟორდანიამ აქაც გაიმეოროს ძველი ხლაპარი, რომელიც ყველას უკვე მობეზრდა: ბოლშეეიკები ძალად ერეკებიან არჩევნებზე მუშა-მოსამსახურეებს.

მაგრამ რითი აიხსნება ის ფაქტი, რომ ლენინის სიკვდილის შემდეგ მუშათა კლასი გაათკეცებული ენერგიით იკრიბება კომინტერნის ირგვლივ. კერძოთ თბილისში 2.500 მუშა დაზგიდან ჩაეწერა პარტიაში (Ленинский набор), მთელ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში კი ჩაეწერა 200 ათასზე მეტი მუშა. შემოდის აუარებელი ახალი განცხადებები პარტიაში მიღების შესახებ. აქაც ხომ ძალათ არ ერეკებიან პარტიაში? მაგრამ ხომ ყველამ იცის, რომ კომუნისტური პარტიის კარები ძალიან ძნელად იღება პარტიაში შემსვლელებისათვის?

საბჭოებში ყველა საკითხები წინასწარ ირჩევა სექციებში, სადაც დიდი ხალისით მუშაობენ საბჭოს წევრები, და შემდეგ ყოველ მხრივ განხილული გადადის საბჭოს პლენუმზე დასამტკიცებლად. იყო თუარა ასეთი წესი ძველი მენშევიკური თვითმართველობის დროს.

თბილისის საბჭოში დაზგის მუშები შეადგენენ 55,5 პროც., მოსამსახურეები 38,2 პროც., გლეხები 6,3 პროც.

იყო თუ არა დემოკრატიული მთავრობის დროს ქალაქის თვითმართველობაში ამდენი მუშა და მშრომელი ინტელიგენცია. იქ თითოოროლა მუშა იყო, რომელნიც კრინტს ვერ სძრავდა. ბურჟუაზიის ბობოლა წარმომადგენლები კი თავისუფლათ გრძნობდენ თავს. მაგ. 1920 წ. თბილისის საბჭოს 90 ხმოსნიდან მუშა იყო მხოლოდ 12, ე. ი. 13.3% (იხ. თფ. ქალაქის საბჭოს მოამბე 1920 წ. № 1—9).

ეხლა გვითხრას ნ. ჟორდანიამ როდის უფრო მეტი იყო მუშათა დემოკრატიზმი დემოკრატიული მთავრობის დროს თუ პროლეტარიატის დიქტატურის დროს. **სწორე იქნება თუ ვიტყვით, რომ დემოკრატიულ მთავრობის დროს მუშათა დემოკრატიზმს სრულებითაც არ ქონდა ადგილი.**

მაგრამ ნ. ჟორდანიას მაინც კაპიტალისტური სამყარო ურჩევნია პროლეტარულ სამყაროს.

ნ. ჟორდანია ლოღიკურია ამ შემთხვევაში: მან გაიმეორა ის, რასაც ამბობდა 1919 და 1920 წლებში:

აღმოსავლეთის ფანატიკოსებს მე მირჩევნია დასავლეთის იმპერიალისტებიო.

კიდევ ერთი აბსურდი.

თურმე თუ საქართველოში ეკონომიური და კულტურული მდგომარეობა პროლეტარიატის გაუმჯობესებულია, ეს ყოფილა შედეგი მენშევიკური ხელისუფლების.

ნურას ვიტყვით იმაზე, რომ აქედან ნ. ჟორდანიას მთავრობამ წაიღო საზღვარ გარეთ არა თუ სურსათ სანოვაგე, მანუფაქტურა, ოქრო, ვერცხლი, არამედ ქინაქინაც კი და საქართველო დასტოვა სრულიად გაძარცული.

ავიღოთ თუნდაც თბილისის ქალაქის თვითმართველობა. ისედაც გამოფიტული თბილისის თვითმართველობის სალარო დასტოვეს სრულიად უნუგეშო მდგომარეობაში.

თბილისის საშვალო თვიური შემოსავლიანობა უდრიდა 1920 წელს 90 ათას მანეთს.

ეს თანხა ვერ აკმაყოფილებდა მარტო ჯამაგირებსაც კი. საბჭოთა მთავრობამ მიიღო ზომები და აღმასკომის საშუალო თვიური შემოსავალი 1923 წელს უკვე ავიდა 240 ათას მანეთამდე, ე. ი. გადიდდა სამჯერ.

საბჭოთა ხელისუფლებას ძველი ხელისუფლებისაგან დარჩა ტრამვაის ვაგონები, რომლებიც სამუშაოთ ვარგოდენ, რიცხვით 18, (როგორც მოტორიანი, ისე მისაბმელი).

საჭირო შეიქნა ენერგიული ზომების მიღება, რომ ტრამვაის მეურნეობა აღდგენილიყო.

მართლაც რიცხვი ყოველდღიურათ მომუშავე ვაგონებისა აყვანილ იქნა 50-მდე, თუმცაღა საზღვარ გარეთის ემიგრაცია ყველას უყრუებდა ყურებს ჭორებით თითქო საბჭოთა მთავრობამ რუსეთში გაზიდა თბილისის ვაგონები და გზის ლიანდაგიო.

წყალსადენი, რომლის ბედი დემოკრატიულ მთავრობის დროს ბეწვზე ეკიდა და დრო გამოშვებით გაჩერებული იყო, დღეს ნორმალურად მუშაობს.

ასეთივე წარმატებაა მთელ კომუნალურ მეურნეობაში.

მოიგონონ თუნდაც ის, რომ რკინის გზის ყველა ხიდები აფეთქებული დასტოვეს. აი ნამდვილი მემკვიდრეობა, რომელიც ხალხს დაუტოვეს!..

დღეს ყველა ეს ხიდები აღდგენილია.

ავიღოთ ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის აშენება, რომელმაც 1925 წელს უნდა მოგვცეს 35 ათასი ცხენის ძალა და რომელიც გააჩაღებს ელექტრონით თბილისს და მის მიდამოებს. ეს ხომ ნამდვილი ეკონომიური რევოლიუციაა, რომელიც იქნება იყო ნ. ჟორდანიას დროს?!

თბილისის ქალაქის თვითმართველობა, რომელიც სულს ღაფავდა ნ. ჟორდანიას დროს უსახსრობისა გამო, ხოლო დღეს კი ის წარმოადგენს ერთ მძლავრ ორგანიზაციას, ნუ თუ ეს ნ. ჟორდანიას მთავრობის ნაყოფია?

თუ მას არ ახსოვს, კითხოს ნ. რამიშვილს და ბ. ჩხიკვიშვილს **დაადგინა თუ არა 1921 წლის დასაწყისში ქალაქის თვითმართველობამ განათლების განყოფილების დროებით დახურვა უსახსრობის გამო?**

ქონდა თუ არა ადგილი თბილისის ქალაქის თვითმართველობაში მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვას ნოე ჟორდანიას მთავრობის დროს ჯამაგირის მიუცემლობის ნიადაგზე?

ავიღოთ სწავლა განათლების საქმე თბილისში. თუ რა საშინელი მდგომარეობა იყო ამ დარგში, აშკარათ სჩანს შემდეგი ფაქტებიდან.

1921 წ. საბჭოთა მთავრობამ მიიღო თბილისში მხოლოდ 5 საბავშვო სახლი 300 ბავშვით, რევიზიის დროს აღმოჩნდა, რომ ეს სახლები ნამდვილი „ანგელოზების ფაბრიკებია“.

დღეს ამ სახლ-ბაღების და ბაღში მოთავსებულ ბავშვების რიცხვი გადიდებულია, თვით ეს სახლ-ბაღები მოთავსებულია საუკეთესო სახლებში და ყოველ მხრივ მომარაგებულნი არიან.

მთელ საქართველოში დემოკრატიულ მთავრობის დროს იყო 1.543 პირველ დაწყებითი სკოლა. საბჭოთა ხელისუფლების დროს გვაქვს 1.723 შრომის სკოლა.

მოწაფეთა რიცხვი ნ. ჟორდანიას მთავრობის დროს ამ სკოლებში იყო 159.423 დღეს ეს რიცხვი ავიდა 214.602-მდე.

მასწავლებელთა რიცხვი წინეთ იყო 5.808, დღეს უდრის 10.292-ს.

ამნაირათ სასკოლო ქსელი გაფართოებულია მენშევიკურ პერიოდთან შედარებით 11%-თ. ხოლო მოწაფეთა რიცხვი 26%.

სასკოლო ასაკამდე აღზრდის დაწესებულებები იყო დემოკრატიულ საქართველოში 7, საბჭოთა ხელისუფლების დროს არის 798.

გიმნაზიები, ამჟამათ კი სპეციალური და გუმანიტარული ტეხნიკუმები იყო დემოკ-

რატიულ საქართველოში 44, საბჭოთა საქართველოშია 48.

დემოკრატიულ საქართველოს არ ქონია არც ერთი მუშათა ფაკულტეტი. დღეს კი 1.112 კაცი სწავლობს მუშათა ფაკულტეტებში.

საქარხნო-სამრეწველო სკოლების რიცხვი დემოკრატიულ საქართველოში უდრიდა 5-ს. დღეს ეს რიცხვი ავიდა 17-მდე.

წინეთ მხოლოდ 9 სამეცნიერო დაწესებულება იყო საქართველოში, დღეს ასეთი დაწესებულება 19-ია.

მენშევიკების პერიოდში უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდა საქართველოში 2.814 მოსწავლე, საბჭოთა ხელისუფლების დროს ეს რიცხვი გაიზარდა 210,4%, ე. ი. ეს რიცხვი ავიდა 8.733-მდე.

127 პროფესორისა და დოცენტის მაგიერ დღეს არის 425 პროფესორი და დოცენტი ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში.

წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტები წინეთ არ იყო, დღეს კი საბჭოთა ხელისუფლებამ გახსნა საქართველოში 517 პუნქტი და წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლა გამოცხადებულია დაკვრითი ამოცანათ.

ავიღოთ სხვა დარგი განათლების.

წინეთ იყო 38 ბიბლიოთეკა, დღეს 117. ქოხ-სამკითხველო წინეთ არ იყო, დღეს 332. ოთხი სახალხო სახლის მაგიერ დღეს მთელ საქართველოში 53-ია, კლუბები სოფლებში წინეთ ვის წარმოუდგენია, დღეს 155-ია და სხვა.

ავიღოთ გამომცემლობა.

დემოკრატიულმა საქართველომ სამი წლის განმავლობაში გამოსცა სულ 162 წიგნი, ამათში პოლიტიკური ხასიათის იყო მხოლოთ 2, დანარჩენი იყო სახელმძღვანელოები, საბავშო ლიტერატურა და სხვა. პროფესიონალური ხასიათის კი არც ერთი წიგნი არ გამოუციათ.

საბჭოთა საქართველოში მხოლოთ განათლების კომისარიატმა გამოსცა ამ უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში 505 ქართული წიგნი, ამათში პოლიტიკური მნიშვნელობის 213. პროფესიონალური მნიშვნელობის 30.

გარდა ამისა სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობისათვის სომხურ ენაზე 10 წიგნი, ფრანგულ ენაზე 4, გერმანულ ენაზე 4, ასირიულ ენაზე 2, თათრულ ენაზე 7, სულ 27 წიგნი. დემოკრატიულ მთავრობის დროს კი იქმნა გამოცემული ეროვნულ უმცირესობისათვის მხოლოთ 4 წიგნი.

სახალხო განათლების კომისარიატის გარდა საქართველოში გამომცემლობის საქმეს აწარმოებს სხვა ორგანიზაციებიც.

გამომცემლობა „წითელი წიგნმა“ გამოსცა ამ უკანასკნელ 2 წელში 94 წიგნი, აქედან პოლიტიკურ-ეკონომიური ხასიათის 80.

„წითელი წიგნი“ მუშაობს ამიერ-კავკასიის მასშტაბით. მთელ გამოცემათა ნახევარი (47 წიგნი) არის ქართულ ენაზე.

საქ. კომ. პარტიამ გამოსცა 3 წლის განმავლობაში 487 წიგნი. ამათში ქართულ ენაზე 348 წიგნი, ე. ი. 71,4%.

თუ წინეთ არც ერთი მარქსისტული წიგნი არ გამოცემულა, დღეს ამ მხრით აღარაა სიმშილი საქართველოში.

დემოკრატიული მთავრობის დროს არც ერთი სამხატვრო ჟურნალი არ იყო საქართველოში. დღეს ასეთი ჟურნალი გამოდის რამდენიმე. ქონდა მწერალთა კავშირს თუ არა ორგანო წინეთ?. დღეს კი სქელ ჟურნალს სცემენ „კავკასიონს“. ქონდა მეცნიერების ტაძარს, საქართველოს უნივერსიტეტს სამეცნიერო ჟურნალი წინეთ? დღეს კი სცემენ პერიოდულად ჟურნალს „ჩვენი მეცნიერება“.

გამომცემლობის ტირაჟი მენშევიკების სამი წლის ბატონობის დროს იყო 405 ათასი. საბჭოთა საქართველოში ამ უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ტირაჟი გადაშორდა 2.500 ათასს. ერთი სიტყვით წიგნის ბაზარზე დღეს საქართველოში ჩვენ ვხედავთ წარმოების გადაჭარბებას (перепрозводство).

სახალხო განათლების სფეროში დემოკრატიული მთავრობის დროს არ იყო გარკვეული სისტემა, გეგმა, ძალიან უშლიდა ამ საქმეს ხელს უსახსრობა. და არც ეცალა მაშინდელ მთავრობას ამ საქმისათვის, მისი ყურადღება მიქცეული იყო მეზობელ სახელმწიფოებთან ომისაკენ, რასაც სისტემატიური ხასიათი ქონდა მაშინ არსებულ პოლიტიკურ წყობილების და მეზობელ სახელმწიფოებთან არანორმალურ დამოკიდებულების მიზეზით.

დღეს საბჭოთა ხელისუფლებას აქვს გარკვეული პრინციპი, გეგმა ამ საქმეში.

წინეთ მუშების შვილებს არ ქონდათ საშუალება ესწავლათ. მუშის შვილი ხშირად სკოლის გარე რჩებოდა სხვადასხვა მიზეზების გამო.

დღეს კი მოწაფეთა რიცხვში მუშების შვილებს ქალაქებში უჭირავთ 75%. ხოლო სოფლებში სწავლობენ ღარიბი გლეხობის შვილები.

ეს დიდი მიღწევაა სწავლა-განათლების საქმეში, ვეკითხებით ნ. ჟორდანიას საიდან არის ყოფილ დემოკრატიული მთავრობის მემკვიდრეობა?..

ასეთი ალგებრაული ფორმულის ახსნა ჩვენ არ ფალგვიძს.

ავიღოთ სასოფლო-სამეურნეო დარგი.

მიწის რეფორმა, რომლის გატარება ვერ შესძლო დემოკრატიულმა მთავრობამ, უკვე გატარებულია მშრომელი გლეხობის სასარგებლოთ. მოიმატა შრომის ნაყოფიერებამ.

1923 წელს საქართველოში დათესილი სიცრცე უდრიდა 648 ათას დესეტინას, ე. ი. ომის წინა ხანასთან შედარებით ნათესი გაიზარდა 40 ათასი დესიატინით (1908-1913 წ. უდრიდა 600 ათას დესიატინას), ხოლო ნოე ჟორდანიას მთავრობის დროსთან კი შედარებაც შეუძლებელია.

1920 წელს მთელ საქართველოში მოწეული იყო 15 ათასი ფუთი აბრეშუმის პარკი. 1923 წელს კი იქმნა მოწეული 64 ათასი ფუთი, ე. ი. ოთხჯერ მეტი, ვიდრე მენშევიკური მთავრობის დროს.

ესეც თქვენს ღვაწლს უნდა მიეწეროს?

სახალხო მეურნეობის პროდუქციის საერთო ღირებულება 1913 წელს უდრიდა 9.334.740 ოქროს მანეთს. წინა წელთან შედარებით გაიზარდა ერთი სამათ (1922 წელს უდრიდა 3.305.838 მ.) მენშევიკების პერიოდთან შედარებით კი გაზრდილია ერთი ათად. ეხლა გაიხსენოს ნ. ჟორდანიამ მისი განცხადება და მტკიცება ეკონომიურ თათბირზე 1920 წელს რომ საქართველო კი არ მიდის უკვე მივიდა კატასტროფამდე და გულწრფელათ სთქვას რა ღირებულებისაა დემოკრატიული მთავრობის მიერ დატოვებული მემკვიდრეობა.

საშუალო ხელფასი 1923 წელს უმაღლეს მეურნეობის საბჭოს წარმოებებში უდრის — 80. % ომის წინა დროსთან შედარებით.

ა.-კავკასიის რესპუბლიკების მუშა-მოსამსახურეთა ნივთიერ მდგომარეობის გამოსარკვევად, გასულ წელს მოხდა მუშა-მოსამსახურეების ბიუჯეტის გამოკვლევა.

ცალკე რესპუბლიკების ძიხედვით გამოკვლეულ ობიექტების რაოდენობა შეადგენდა,— საქართველოში — 1.911 აზერბაიჯანში — 1.526, სომხეთში — 438 სულ — 3.945, ამ რიცხვიდან ა. კ. რკინის გზაზე მოდის 700 ობიექტი.

გამოკვლევა შეეხო ა. კავკასიის 12-პუნქტს, აზერბაიჯანში — ბაქოს, საქართველოში — თბილისს, ბათომს, ჭიათურას, ტყიბულს, ქუთაისს, ფოთს, სამტრედიას და ხაშურს: სომხეთში — ერევანს და ალავერდს.

რკინის გზის მუშაკთაგან გამოკვლევა შეეხო მთავარ კვანძებს: თბილისის, ბაქოს, ლენინკანის, ხაშურის და სამტრედიის კვანძს. აქედან მკეითხველი დაინახავს, რომ გამოკვლევა გვეხება არა ჩვენ და ჩვენს ნაცნობებს, როგორც ეს ნ. ჟორდანიას გონია, არამედ მუშათა კლასს.

მოხდენილ გამოკვლევით ცხადი შეიქნა, რომ მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობა ხელფასის გადიდების გამო გაუმჯობესებულია. მუშა-მოსამსახურის მეურნეობის გასავალ-შემოსავლის შორის შეფარდება შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

	საერთო შემოსავალი საქ. მან.	მეურნეობ. საერთო გას. საქ. მან.	საბიუჯეტო თვის ნაშთი	პროცენტ.
მელითონეები	37.88	34.93	2.95	8,4
მეთამბაქოები	32.30	27.79	4.51	16,2
მბეჭდავები	33.93	30.89	2.14	6,9
მთა მადნ. მუშ.	41.90	40.35	1.55	3,9
საპნის დამამზ.	52.13	37.90	14.22	37,5
მოსამსახურეებისათვის:				
საბჭოთა მოსამს.	39.96	36.97	2.99	8.2
მედსანშრომ. მუშ.	38.29	30.21	1.38	4.5
განათლების მუშ.	39.30	37.54	2.36	5.0

ამგვარად მუშის და მოსამსახურის ნაშრომი შემოსავალი აღემატება გასავალს არა მარტო მუშათა ჯგუფებში (საწარმოო), არამედ იმ მოსამსახურეთა ჯგუფების, რომელიც სახელმწიფო მომარაგებაზე იყვნენ.

ზემოხსენებულ მუშათა ჯგუფების მთავარ შემოსავლის წყაროს წარმოადგენს შრომის ფაქტიური ხელფასი.

შემოსავლის და გასავლის შემადგენლობა გვიჩვენებს, რომ მუშა-მოსამსახურის ბიუჯეტი იყო უდეფიციტო, როგორც ოჯახის მეთაურის, ისე მისი წევრების ხელფასს ბიუჯეტში შემდეგი ადგილი უჭირავს პროცენტულად (ხელფასად იგულისხმება ხელზე მიღებული

ჯამაგირი და ავანსად აღებული თანხა). მელითონეების ხელფასს—62,3 პროც., მეთამბაჭოების—79,7 პრ., მბეჭდავების—88,4 პრ., მთამადნის მუშაკების—82,1 პრ., საპნის დამამზადებელთა—82,7 პრ., საბჭოთა მოსამსახურეთა—76,1 პრ., მედანწრომის მუშაკთა—87 პრ., განათლების მუშაკთა—76,7 პრ.

ამგვარად მუშის საერთო შემოსავალში ხელფასს საკმაოდ მაღალი ადგილი უკავია და უახლოვდება მშვიდობიან დროის შეფარდებას.

მართალია, ამ დარგში კიდევ ბევრია სასურველი, ხელფასის დონე საჭიროებს აწევას, რომ მუშა უზრუნველყოფილი იყოს, მაგრამ ეს დამოკიდებულია წარმოების ზრდასთან, მენშევიზმის პერიოდთან შედარებით კი დღეს მდგომარეობა გაცილებით გაუმჯობესებულია. მაგალითად მენშევიზმის დროს 1920 წ. საქონლისა და ხელფასის ინდექსების მიხედვით ხელფასი ხუთჯერ დაბლა იდგა სიძვირის ზრდასთან შედარებით. ეს სჩანს შემდეგი ინდექსებიდან:

	1913 წ.	1916 წ.	1918 წ.	1920 წ.
საბაზრო ფას.	100	141,7	2940	176,152
ხელფასი . .	100	119,7	1438,6	34,000

აი ის მემკვიდრეობა, რომელიც თქვენ დატოვეთ!

საბჭოთა სოც. რესპუბლიკების კავშირში მრეწველობა უკვე აღწევს ომის წინა დროის 50 პროცენტს, ხოლო სოფლის მეურნეობა 75 პროცენტამდე ავიდა.

ამას წინათ, როგორც რუსეთის, ისე საზღვარ გარეთის გაზეთებშიაც გამოქვეყნდა, რომ ლენინგრადის (ყოფილ პეტერბურგის) მუშების კვების გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ მათი კვება უკვე უახლოვდება ომის წინა ხნის კვებასო.

გამანადგურებელ იმპერიალისტურ ომის შემდეგ ასე ჩქარა ასეთი მიღწევამდე მისვლა დიდი დადებითი მოვლენაა. ალბათ ესეც ნაყოფია კერენსკის მთავრობის და დასავლეთ ევროპის იმპერიალისტების, რომლებიც მილიონებს ხარჯავდენ რუსეთში სამოქალაქო ომის ფრონტზე საბჭოთა ხელისუფლების გასანადგურებლათ!

დღეს საბჭოთა რესპუბლიკებში უკვე შემოღებულია ოქროს და ვერცხლის მაგარი ვალიუტა. ამასაც თქვენს მოღვაწეობას ხომ არ მიაწერთ?

ნ. ჟორდანია ადასტურებს, რომ მუშებისთვის მართლა გაუმჯობესებულია ბინის საკითხი, მაგრამ ამავე დროს გვიმტკიცებს, რომ რუსეთში ბინის საკითხი მეტად მწვავეთ სდგასო, სახლები ინგრევაო. ვეკითხებით მას: იყო თუ არა ეს საკითხი მწვავე ჯერ კიდევ რევოლიუციამდის? იყო თუ არა ის საშინელი საქართველოში თქვენს დროს?. არის თუ არა ის მწვავე ინგლისში, სადაც თქვენი მეგობარი მაკდონალდი არის მთავრობის სათავეში? სდგას თუ არა ის მწვავეთ სხვა ქვეყნებშიაც? რატომ გინდათ, რომ ბინის საკითხის სიმწვავე მარტო საბჭოთა ხელისუფლებას ჩაეწეროს ბასიეში?

პირიქით არც ერთ სახელმწიფოს ამ საკითხში არ გადაუდგამს ისეთი სერიოზული ნაბიჯი მუშათა კლასის ინტერესების დასაცავათ, როგორც ეს ქნა საბჭოთა ხელისუფლებამ.

საუკეთესო ბინების გადაცემა მუშებისათვის შელავათიანი ბინის ფასები მუშებისათვის, უმუშევრების უზრუნველყოფა ბინების მხრით და სხვა. ამავე დროს მიღებულია ყოველივე ზომები მუშათა სახლების აღმშენებლობისათვის.

„მუშათა“ მინისტრი მაკდონალდი კი სასტიკად დამარცხდა ამ საკითხში, მან ვერ გაბედა ბურჟუაზიის წინააღმდეგ გამოსვლა და მუშების დაცვა. გაიხსენეთ ამ საკითხის ირგვლივ კამაოი ინგლისის პარლამენტში.

ამის შემდეგ კიდევ გაქვთ რამე სათქმელი?

საიდან გაიგეთ, რომ რუსეთში 8 საათის სამუშაო დღე მოსპობილია.

თქვენ ალბათ ისიც არ იცით, რომ სასტიკად ისჯებიან საბჭოთა კანონების ძალით ის პირები, ვინც 8 საათზე მეტს ამუშავებს მუშებს. ზედმეტი ფასის მიცემითაც არ შეიძლება 8 საათზე ზევით მუშაობის გაგრძელება, თუ სათანადო ნებართვა არ იქნა მიღებული პროფკავშირისაგან.

დემოკრატიულ საქართველოში კი მართლა არ იყო 8 საათის სამუშაო დღე ფაქტიურად.

ამიტომ თუ დღეს ჩვენში და რუსეთში ტარდება 8 საათის სამუშაო დღე, აქ თქვენ არავითარი ღვაწლი არ მიგიძღვით.

ნ. ჟორდანია ამბობს: „ესენი (კომუნისტები) რომ ამ მხრივ სხვა ქვეყნის კომუნისტებს გვანდენ, საქართველოს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას მართლა იცავდენ, ჩვენ მათთან დავა ბევრი არ გვექნებოდა; დამოუკიდებელ, თუნდაც კომუნისტურ საქართველოში ჩვენ მოვნახავდით ჩვენს ადგილს, ბოლშევიკებთან გვექნებოდა სადაო მხოლოდ შინაგანი საკითხები, დემოკრატიული და სოციალისტური პრინციპები....“

ჩვენ გადაჭრით ვამბობთ, რომ საქართველო დღეს სრულიად თავისუფალი და დამოუკიდებელია იმპერიალისტურ ქვეყნებიდან, დემოკრატიული მთავრობის დროს კი ის იყო სრულიად დამოკიდებული კაპიტალისტური ქვეყნებიდან. საქართველო სავსე იყო უცხო ქვეყნის ჯარებით. დღეს საქართველო ძმურ კავშირშია, როგორც სუვერენული სახელმწიფო, მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებთან.

წინეთ, დემოკრატიული მთავრობის დროს კი ის იყო მუდმივ ომში მეზობელ სახელმწიფოებთან.

ეხლა გვითხრას ნ. ჟორდანიამ, როდის იყო საქართველო უკეთეს პირობებში? როდის დაუდგა საქართველოს მუშებს მშვიდობიანობა: მაშინ, როცა აქ საშინელ შოვინიზმის ცეცხლს ანთებდენ, თუ დღეს, როცა საქართველოს მუშა არ სთვლის თავის მტრად აზერბაიჯანის და სომხეთის მუშას?

თუ რაიმე სოციალისტური შერჩენია ნ. ჟორდანიას, დაიდოს გულზე ხელი და სთქვას სიმართლე.

ნ. ჟორდანია იმეორებს ძველ ჭორებს: საქართველოში ქვეყნის მართვა-გამგეობა რუსის ურა პატრიოტებს ჩააბარესო.

ფაქტები?. რასაკვირველია, ფაქტების მოყვანა მას არ შეუძლია, ვინაიდან ფაქტები სულ სხვას ლაპარაკობენ.

საქართველოში 1923 წ. ითვლებოდა 76.672 მუშა-მოსამსახურე. აქედან ქართველები არიან 50,8 %, სომხები—20,0%, რუსები—19,2%, დანარჩენი ეროვნება—10%.

თბილისში 40.248 მუშა-მოსამსახურეებიდან ქართველებზე მოდის 37,1%, სომხებზე 38,7%, რუსებზე—23.5%, დანარჩენ ეროვნებებზე—10,6%.

თბილისისა და საქართველოს მკვიდრ მცხოვრებლებს მარტო ქართველები არ შეადგენენ. საერთოთ თბილისის მცხოვრებთა რიცხვში სომხები მეტია, ვიდრე ქართველები, მაგალ. თბილისში ქართველები შეადგენენ უკანასკნელი აღწერის მიხედვით—34,7%, სომხები—36,6%, რუსები—16,3%, დანარჩენი ერები—12,2%. მიუხედავათ ამისა დაწესებულებებში და წარმოებებში სჭარბობს ქართველობა. სად აქვს აქ ადგილი ქართველების დევნას?..

ყველა სახელმწიფო დაწესებულებებში, მათ შორის რკინის გზაზედაც, შემოღებულია სახელმწიფო ენა-ქართული ენა. საბჭოთა ხელისუფლება სასტიკად სდევნის ყველა მათ, ვინც გამოიჩენს „ველიკოდერჟავულ“ ტენდენციას. მოიგონეთ დათხოვა სამსახურიდან ვინმე ლიტვინოვის, რომელიც უდიერად ეპყრობოდა მუშებს და მოითხოვდა, რომ რუსულ ენაზე ყოფილიყო შედგენილი ტაბულა, მოიგონეთ გასამართლება რამდენიმე პირის, რომლებიც უდიერად შეეხენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენას და სხვა ამნაირი მაგალითები, და აშკარა გახდება, რომ საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკაში არ აქვს ადგილი იმ ზღაპრებს, რომლების შესახებ მოგვითხრობს ნ. ჟორდანია.

ნ. ჟორდანია ლაპარაკობს უცხო-ხიშტებზე. ალბათ მას წითელი ჯარი ყავს მხედველობაში, ეს ჯარი გულზე ლახვარივით ესობა საზღვარ გარეთის ემიგრაციას მხოლოდ იმიტომ, რომ ის იცავს საბჭოთა რესპუბლიკებს.

მოხსენით, შეასუსტეთ ეს ჯარი და ემიგრაცია თავისუფლათ დაიძვრება აქეთ იმპერიალისტური ჯარებით, თუ ექნა მას ამის შესაძლებლობა.

როცა აქ იდგნენ იმპერიალისტური ქვეყნების ჯარები, ნ. ჟორდანია მუხლ-მოდრეკილი ეედრებოდა მათ არ დაეტოვებიათ საქართველო.

ქართველმა მუშებმა და გლეხებმა ეს კარგათ იციან. მშვენივრად იციან ისიც, თუ რა იყო ჩვენთვის იმპერიალისტური ჯარი და რაა წითელი ჯარი, გამოსული მუშებისა და გლეხების ოჯახიდან რევოლიუციის დასაცავათ.

ნ. ჟორდანია ვერ გვიპასუხებს გარკვეულად ჩვენს მიერ დასმულ კითხვაზე თუ რა მოყვებოდა რუსეთში და ჩვენში ბოლშევიზმის დაღუპვას. ის მხოლოდ ამბობს: ამაზე უარესი რეაქცია არ იქნებაო. ესაა სიტყვის ბანზე აგდება.

განა ვინმესთვის დღეს კიდევ გამოურკვეველია, რომ რუსეთში რევოლიუცია გამარჯვებულია მხოლოთ საბჭოთა სისტემის განხორციელებით?

ამ სისტემის დანგრევა ნიშნავს რევოლიუციის დამარცხებას. რევოლიუციის ნანგრევებზე კი მოვა საშინელი რეაქცია. თუ ნ. ჟორდანიამ არ იცის ეს, გრიშა ლორთქიფანიძეს

მაინც კითხოს, რომელიც სრულიად იზიარებს ამ აზრს.

ბოლშევიზმის დამარცხება რუსეთში, ეს იქნება სოციალიზმის დამარცხება საერთაშორისო მაშტაბით.

ეს ბრმისთვისაც გასაგებია. მაგრამ ნ. ჟორდანია კითხვას აქაც უკუღმართად სვამს.

მისი მისწრაფებაა დამარცხდეს რუსეთში ბოლშევიზმი რითაც არ-უნდა დაუჯდეს ეს მას, თუნდაც რეაქციის გამარჯვებითაც კი.

ესაა ნამდვილი ულტრა-რეაქციონური მისწრაფება, რომელშიაც მას ბევრი მისი მახლობელიც ვერ ეთანხმება.

ნ. ჟორდანია გვისაყვედურებს: ნიკოლოზის დროს გაუძელით ბრძოლას ათეული წლების განმავლობაში, ბოლშევიკების დროს კი სამი წელიწადიც ვერ გასძელითო.

მართალია ეს, ბოლშევიკებთან ბრძოლის პროცესში ჩვენ დავინახეთ, რომ ეს ბრძოლა იყო მიმართული რევოლიუციის წინააღმდეგ. ის ხალხი კი, რომელიც ათეული წლების განმავლობაში ციხე-კატორღებში ებრძოდა ნიკოლოზის რეაქციას, დღეს ვერ შესძლებდა ბრძოლას ნიკოლოზის რეაქციის სასარგებლოთ. ჩვენ ვერ გავუძელით ბრძოლას იმ უკუღმართ გზაზე, რომელზედაც თქვენ დაგვაყენეთ ცარიზმთან ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ. ჩვენ დავინახეთ ღალატი, დავინახეთ შეცდომა და რევოლიუციასთან შესისხლხორცებულნი დავუბრუნდით რევოლიუციას.

ამ საქმეში ჩვენ არ გვყოლია ბელადი. ჩვენი მრჩეველი იყო ჩვენი რევოლიუციონური სინდისი.

გმირობაზე და გამბედავობაზე კი ყოველ შემთხვევაში ცოტა უნდა ილაპარაკოს საქართველოდან წასულმა ემიგრაციამ.

მაინც და მაინც ვერაფერი გმირობაა გაქცევა თავის ხალხიდან და სენას, შარეეს და ტემბას ნაპირებზე მოკალათება და იქიდან ჭორების თხზვა, პროვოკაციის ქსელის გაბმა.

ჩვენ მიერ არჩეული გზა არ საჭიროებს არავითარ გადაფასებას. ამიტომ მეტია თქვენი რჩევა „შემობრუნების“ შესახებ და ნურც ფიქრობთ, რომ ოდესმე ვინმე ჩვენთაგანმა მოგმართოთ თქვენ:

— გვაპატიეთ, არ ვიცოდით რას ვშვრებოდითო.

ამ იმედებით თქვენ შეგიძლიათ ისულდგმულოთ პუანკარეს სამეფოში, ხოტბა ასხათ ბურჟუაზიულ საფრანგეთის კულტურას და წყევა-კრულვა უგზავნოთ მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს, მაგრამ იცოდეთ მუშათა კლასის გულიდან თქვენი და თქვენი თანამებრძოლთა სახელი სამუდამოთ ამოშლილია და თქვენ ვერასოდეს ვერ ეღირსებით, რომ მან გაპატიოს ყველა ის უკუღმართი ნაბიჯები, რომლებიც თქვენ მათ წინააღმდეგ გადადგით და განაგრძობთ გადადგმას.

მენშევიკურმა პარტიამ დამღუპველი როლი ითამაშა რუსეთის რევოლიუციის პროცესში, მოღალატეობრივი იყო ეს როლი დემოკრატიულ საქართველოშიაც. არაფრით არ შეიძლება ამ როლის გამართლება საბჭოთა საქართველოს პირობებში.

ეს დაინახა პარტიის აქტივმა, მუშებმა და გლეხებმა. ეს დაინახა პარტიის ცეკას თავმჯდომარემაც კი, ს. დევდარიანმა, რომელიც ნ. ჟორდანიას აქედან წასვლის შემდეგ, საქართველოში ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში სათავეში ედგა პარტიას, და მთელი ეს მასსა ჩამოშორდა მენშევიკურ პარტიას.

თავის დედას ლახვარს სცემს ის, ვინც პროვოკაციის, ჭორების ქსელში აბამს მას, ვინც ხელის შეწყობის მაგიერ, ხელს უშლის მის წინსვლას, აღორძინებითი მუშაობას, ვინც სისხლის მორევში გახვია და დღესაც ხვევს საქართველოს მუშებსა და გლეხებს.

რამდენი გულწრფელი მუშა და გლეხი შეეწირა იმ მრუდე პოლიტიკას, რომელსაც აქ ატარებდა საზღვარგარეთელი ბიურო და არალეგალური ცეკა!

რამდენი მწარე ტკივილები მიაყენა ხალხს ჩოლოყაშვილის და სხვა ავანტიურისტების ურდოებმა, რომლებიც (ეს დღეს ყველასათვის უკვე დამტკიცებული ფაქტია, რომელსაც ვერ უარყოფს ვერც საზღვარგარეთელი ბიურო, და ვერც არალეგალური ცეკა) მენშევიკური პარტიის და პარტიტეტული კომიტეტის ლოცვა-კურთხევით მოქმედობდენ და ვანაგრძობენ მოქმედებას!..

ამ ფაქტებს კარგათ უნდა ჩაუფიქრდეს ნ. ჟორდანია, თუ მას სურს გულწრფელი სამსახური მუშათა კლასისათვის.

შორს არაა ის დრო, როცა მსოფლიო სოციალისტური რევოლიუციის ზარი ჩამოკრავს და მსოფლიო პროლეტარიატის სახით პასუხს მოსთხოვს ყველა იმათ, ვისაც განხეთქილება შექონდა მუშათა მთლიან ოჯახში.

ხელს აწერენ:

ა. რუხაძე.	ნ. ვაჭარაძე
ლუკაშვილი	ვარსიმაშვილი
ბესოშვილი	გ. ხარატიშვილი
გ. ოგანეზოვი	ს. ყანდარელი
ვ. სიხარულიძე	პ. ანთიძე
ს. არეშიძე	აკ. კალაძე
ნ. დანდუროვი	აფხაზავა
გ. პირველი	ი. ნაცვლიშვილი
ა. ყანდარელი	ვ. ალიხანოვი
ვ. შუბაშვილი	აღ. მუედლიშვილი.
ნ. შენგელია	მინასარიანი
მელ. ტერელაძე	ი. ლელაშვილი
არ. უმბრიეევი	ვ. რაქვიაშვილი
ბალიანცი	გ. იასამანოვი
ნ. ჩლაიძე	არჩ. ბედენაშვილი
კ. თოფაძე	ა. ჩხარტიშვილი
ლავრელაშვილი	იაგ. ტორიკაშვილი
ხორიაშვილი	ქორიძე
ბატონისაშვილი	ა. ჭანტურია
ბ. მიკირტუმოვი	ს. გვიმრაძე
ვლ ბერაძე	შ. ჯაში.
ჯ. დემეტრაშვილი	ა. ფარნიევი *)
გ. ვარდოიანი	

[1]) ნ. ჟორდანიას პასუხი ჯანხილულ იქნა მუშათა ცენტრ' კლუბში ა. წ. 6 მაისის კრებაზე, რომელსაც დაესწრენ 1923 წლის აგვისტოში შემდგარ ს. დ. პარტიის სალიკვიდაციო ყრილობის ყოფილ პრეზიდიუმის წევრები და მოწინავე მუშები (ყოფილი მენშევიკები), რომლებმაც ერთხმად მიიღეს ზემოხსენებული პასუხის პასუხი და მოაწერეს ხელი.

სად არის სეით დევდარიანი.

„...სეითი აბლა არც მიწაზეა, არც ცაზე“

ამხანაგის წერილიდან.

ამ უკანასკნელ ხანებში სეით დევდარიანთან კამათი ჩვეულებრივ ტემად გადაიქცა მკითხველ საზოგადოებისათვის ის თითქოს აღარც კი წარმოადგენს მწვავე ინტერესის საგანს. მიუხედავად ამისა ამ ტემაზე წერა, მისი განვითარება და გაღრმავება მიუცილებელი პირობაა საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ სინამდვილეში.

არ შეიძლება იყვეს იმაზე უფრო შემცდარი აზრი, თითქოს მენშევიკური პარტია ჩვენში უკვე სავსებით გაქარწყლებული და განიავებულია. ბევრ ჩვენ ამხანაგს ეს გულწრფელად სჯერა...

საქმე ის კი არაა, რომ შესდგა 25 აგვისტოს ყრილობა, რომ პარტიას გადაუდგა უმთავრესი ძალა, რომ თვით არალეგალურ ცეკას სულის ჩამდგმელებიც დღეს სხვა ჰანგზე აღიღინდნენ,—მაგარი ისაა, რომ მენშევიზმი, როგორც რეაქციონური მიმდინარეობა, რომლის საფარ-ქვეშაც ამ უკანასკნელ წლებში თავი დაიყარა ყველა რევოლიუციისაგან განაწყენებულ ელემენტებმა, მენშევიზმი, რომელმაც თავის წიაღში გააერთიანა მთელი რეაქციონური ფრონტი, ეს მენშევიზმი ჯერ კიდევ ნაწილობრივ ცოცხალია.

მენშევიკური პარტიის ამ აშმორებულ ნაშთს ღრმად აქვს გაშვებული ფესვები კერძო მესაკუთრეთა ფსიქოლოგიაში და ისეთ წვრილ მეურნეობის ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, მასთან ბრძოლა ხანგრძლივ დროს და დაუნდობლობას მოითხოვს.

დაე, ნუ გაწყრება სეითი ამ შემთხვევაში, თუ მასთან კამათს არსებითად კვლავ მენშევიკურ პარტიასთან კამათად სთვლიან. ეს რომ ასე არ იყოს, მასთან ბაასს მოკლებული ექნებოდა საზოგადოებრივი მნიშვნელობა. სეითი დღეს გამონაკლისი არაა ჩვენს სინამდვილეში ამგვარი ქრონიკულ მენშევიზმით დაავადებული ადამიანები მრავლად დასტოვა რუსეთის და ჩვენი ქვეყნის სოციალ-დემოკრატიამ თავის ყვავილის დაჭკნობის შემდეგ. რუსეთშიც და საქართველოშიც კიდევ მოიპოვება ელემენტები, რომლებიც გაიყენენ გზა-ჯვარედინზე; ადამიანები, რომლებიც სასომიხდილი დგანან შუა რიყეზე და უნუგეშოთ იცქირებიან თავის გარშემო.

სეითის სახით ჩვენ ამ განუკურნავ მენშევიზმით დასნეულებულ ხალხს ვეკამათებით. დევდარიანმა უკვე აღიარა, რომ დემოკრატიზმისაგან გათლილი ურემი, რომელზედაც თავის კეთილით და მოყვრებით ამდენი ხნით მოგზაურობს მეორე ინტერნაციონალი, სამუდამოთ ჩაიფლა ბურჟუაზიულ კონტრ-რევოლიუციის ჭაობში და იქიდან ღერძს ველარ ამოათრევს. ის ამიტომ ორთქლისა და რკინის მანქანაზე გადაბარგდა, რომელსაც პროლეტარიატის დიქტატურა ეწოდება, მაგრამ ვერ ჰბედავს შიგ შესვლას, საფეხურებზე ჩამოჭედებია და ცალი თვალი მაინც ლაფში ჩაფლულ ურემისაკენ უჭირავს.

სეითს სწამს პროლეტარიატის დიქტატურა, მას ეს სისტემა კომუნისტების დასათმობათ არ

ემეტება, მაგრამ არაფერს ამბობს გარკვევით თუ რა შინაარსი უნდა დაედვას სარჩულად პოლიტიკურ წყობილების ამგვარ სისტემას. პროლეტარიატის დიქტატურა სწამს არა მარტო დევდარიანს. მას ჯერ კიდევ შარშან ზაფხულზე მოითხოვდა კერძო ბაასში მეორე ცნობილი ქართველი მენშევიკი ნ. იმნაიშვილი. მთავარი ისაა, ვის როგორ ესმის ეს დიქტატურა. თქმა იმისი, რომ მე მწამს პროლეტარიატის დიქტატურა და კომუნისტებს ასე ადვილათ ვერ დაუთმობ მაცო, არსებითად არაფრის თქმას არ ნიშნავს.

ქართველი სოციალ-დემოკრატია ყოველ გზა-ჯვარედინზე იმას გაიძახოდა, რომ დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც დამყარდა ჩვენში ამ პარტიის ბატონობის ხანაში, პროლეტარიატის დიქტატურის უაღრესი ფორმაა. ამასვე ამტკიცებდა სამი წლის განმავლობაში მენშევიკური პრესა, რომლის ავან-ჩავანიც სეითზე უკეთ მგონი არავინ უნდა იცოდეს. დღევანდელ პირობებში ეს პარადოქსი რიყეზე მოვაჭრე მეწვანილესაც კი ღიმილს მოჰგვრის. მაგრამ ოთხიოდე წლის წინათ ამ საქონელს კაი გვარიანი გასავალი ჰქონდა.

ალბათ სეით დევდარიანი ისევ ამ დიქტატურაზე გვეპაასება, როცა მას ერთი მხრივ სწამს მესამე ინტერნაციონალი, მაგრამ მეორე მხრივ მთელ რიგ კორექტივების შეტანას ფიქრობს მის პროგრამაში, როცა ერთი მხრივ სავსებით სწყვეტს კავშირს არალეგალურ ცეკასთან, ხოლო მეორე მხრივ „ბევრი სასაყვედურო რჩება ყოფილ მენშევიკებთან“.

მაგრამ სეითის დღევანდელი პოზიცია მოულოდნელი არ არის იმისათვის, ვინც მის ახალი გზების ძებნას თავიდანვე ადევნებდა თვალს, ამის ნიშნები მას აშკარად დაეტყო ჯერ კიდევ ყრილობის დღეებში და შემდეგ ჩეკაში ყოფნისას, როცა ის ალაპარაკდა მეორე ინტერნაციონალის სასამართლოს შესახებ. მართალია სეით დევდარიანი, როგორც თვითონ განაცხადა, არ ფიქრობს პოლიტიკურ თვითმკვლელობაზე, მაგრამ რა ფასი აქვს ისეთ პოლიტიკურ საქმიანობას, რომელიც მოკლებულია მტკიცე ფუნდამენტს, ვერ რაზმავს კოლექტივს რეალურ შესაძლებლობის პლატფორმაზე და დასახულ მიზნის მიღწევის ნაცვლად წინააღმდეგ შედეგებს იძლევა. სეითის დღევანდელი მდგომარეობა გაურკვეველია არა თუ ფართე მასისათვის, არამედ თვით სეითისათვისაც-კი, ის გზა, რომლითაც დღეს სეითი მიდის არ არის და არც შეიძლება იყვეს ორგანიზაციულად დარაზმულ კოლექტივის გზათ, მხოლოდ ისეთ დახელოვნებულ პუბლიცისტს, როგორიც დევდარიანია, შეუძლია იდგეს მის დღევანდელ პოზიციაზე, რომელსაც შემოვლებული აქვს სანგრები მენშევიკურ ავანტიურისაგან თავდასაცავად და უკან მოტოვებულ კომუნისტურ პარტიისაკენ დასახევი ბილიკები, მხოლოდ სეითს შეუძლია საბჭოთა ხელისუფლების უფნებლათ იმოგზაურის იმ აზრთა ლაბირინტში, რომელიც მან ამ ბოლო ხანს ააშენა. მაგრამ იგივე ხელისუფლება ოდნავათაც არ არის დაზღვეული ამ მხრივ მასსისაგან, რომელიც სახელათ სეითის პოზიციაზე დგას, მაგრამ არსებითად კვლავ მენშევიკურ წის ქვილის ბორბალს ატრიალებს.

სეითს იცნობს კარგათ აქაური მენშევიკებიც. მისი ხარკოველი ამხანაგები: ფელიქს კონი, ვალენტინ სოფიცინი და სანდომირსკი, ყველა ისინი, რომლებიც სეითთან ერთად უდგენ ერთ დროს სათავეში უკრაინის პარტიას, დღეს უკვე კარგათ და ნათლად გაემიჯნენ მენშევიკურ ბანაკს ყველა „Сан„-ის მცოდნე მენშევიკი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს მის ძიებას და უნდა ითქვას, რომ არც ერთ მათგანისთვის არ არის ჯერ გარკვეული დევდარიანის დღევანდელი სახე,

მართლაც, რით განსხვავდება სეითის პოზიცია საზღვარგარეთელ სოციალ დემოკრატიის პლატფორმისაგან? დანიის, შვეიცის, გერმანიის და თვით ლატვია-ესტონიის სოციალისტური პარტიებიც კი იბრძვიან საბჭოთა რუსეთის დასაცავად. მართალია ამ დაცვას ხშირად წინააღმდეგი შედეგები მოაქვს, მაგრამ უცხო სოციალისტური პარტიები ერთ ბოროტებასთან მეორეს მაინც არ სჩადიან: საბჭოთა მთავრობას შიგნიდან აფეთქებას არ უმზადებენ. ქართული სოციალ-დემოკრატია ერთსაც სჩადის და მეორესაც. სეით დევდარიანმა დასტოვა ეს პარტია, მაგრამ ჩვენს საზღვრებში გადმოიტანა უცხო ქვეყნების სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკა.

ცნობა საბჭოთა ხელისუფლების, მასთან ბრძოლაზე ხელის აღება, მაგრამ ამავე დროს ძველი დავის ახალ ქერქში წამოყენება—აი, ის გზა, რომლითაც მიდის დღეს სეითი.

მთელი მისი დავის დედა ძარღვს, მის მძიმე არტილერიას, რომლითაც ის იწყებს შეტევას, შეადგენს—საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცება, მისი კოლონიათ გადაქცევის საფრთხიდან ხსნა. სეითი სცდილობს ამ კითხვის ეკონომიური საძირკველი შეუყენოს. ვისაც გინდათ დამოუკიდებელი საქართველო—იბრძოლეთ მის ეკონომიურ აღორძინებისათვის—აი, ის ღერძი, რომლის გარშემოც ტრიალებს დევდარიანის ზეპირი და ბეჭდითი კამათი.

კეთილი და პატიოსანი. ვინ გიჟი და ჭკუა ლაყე ადამიანი უარჰყოფს ამას ოღონდ საქმე ის არის რა პოლიტიკურ პირობებში, რომელ სახელმწიფოთა კოალიციაში დააღწევს საქართველო თავს ახალშენათ გადაქცევის საშიშროებას. სად, ვისთან მეგობრობაში შესძლებს ის ეკონომიურ დამოუკიდებლობის გზით წინ სვლას. ამ კითხვაზე სეითი ერთობ ორპოფულ პასუხს იძლევა, ან უკეთ, არაფერს ამბობს.

ის ისე არ აიღებს ხელში კალამს, რომ ბუკი და ნაღარა არ დაჰკრას ნეპის საშიშროების წინააღმდეგ. ახალი ეკონომიური პოლიტიკა და მისი პირმშო ნეპის ბურჟუაზია—ეს ყოფილა თურმე ის გველეშაპი, რომელსაც ყოფილ რუსეთის პერიფერიების გადასანსვლა სწადია.

მაგრამ თუ ვისმე ეპატიება ამგვარი უვიცობა, სეით დევდარიანს ამ მხრივ ყველაზე ნაკლები უფლება აქვს. ვინ არ იცის, რომ ჩვენ სამრეწველო და ფინანსიურ კაპიტალის ხანაში ვცხოვრობთ. ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ კარი გაუღო მხოლოდ წვრილ მეურნეობადა კერძო კაპიტალს მხოლოდ აღებ-მიცემობის პოზიციები დაუთმო, ისიც ნაწილობრივ. ეკონომიურ ფრონტის სადავები—კი სახელმწიფის ერთი წუთითაც არ გაუშვია ხელიდან. მსხვილი და მსუბუქი ინდუსტრია, ტრესტები და სინდიკატები ბანკებითურთ—ეს ყველაფერი სახელმწიფოს განკარგულებაშია. კერძო კაპიტალს, როცა მან შეასრულა თავის საქმე, უკანასკნელ პოზიციებიდან მიერეკებიან. ეს კითხვა დღის წესრიგში დგას. ნეპის ბურჟუაზია, თუ კი ასეთი, ჩვენს სინამდვილეში წარმოადგენდა რაიმე საფრთხეს, იყო და არის მხოლოდ სავაჭრო კაპიტალის მატარებელი. ეს იარაღი ერთობ ჩლუნგი და მოძველებულია იმისათვის, რომ მან სახელმწიფოს რაიმე ქიშპობა გაუწიოს. პირიქით, დღეს თუ ხვალ ნეპის ბურჟუაზია იძულებული იქნება ეს მოდიდან გამოსული იარაღი დაჰყაროს. ამნაირად ნეპი, როგორც ეკონომიურ და მით უფრო პოლიტიკურ საშიშროების ფაქტორი არ არსებობს.

მაშ რაღაშია საქმე? რისთვის ჰქმნის სეითი ბუზისაგან სპილოს? რათ ისერის ყუმბარებს სიცალიერეში?—ცხადია უადგილოა ის პანიკა, რომელსაც ის ჰქმნის თავის წერილებით და კიდევ უფრო უადგილო ამ კითხვის „idelfit“-ა გადაქცევა და მაზე თავის პრინციპიალურ მსოფლმხედველობის სხვადასხვაობის აშენება. ყველამ, ვისაც თავი ქუდისთვის არ აბია, იცის, რომ ფეოდალურ კარჩაკეტილობის ხანა წავიდა, რომ თანამედროვე ბურჟუაზიამ დაიყო მთელი დედა-მიწა და ახალ ცხოვრების სუნთქვა ყოველ ფეხის ნაბიჯზე ისმის, რომ საქართველოს სალტეებსაც კარგა ხანია მოხვდა კაპიტალიზმის დინგი და ის სხვა ცხოვრების ფერხულში ჩაება, მაგრამ რა შუაშია აქ საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიურ პირობებში მოქცეული დღევანდელი საქართველო და მის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფლობაზე იქვის გულით ლაპარაკი. ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური კეთილ დღეობა სწორედ ამ პირობებშია შესაძლებელი.

ბავშვმაც კი იცის დღეს, (გარდა ზოოლოგიურ ნაციონალიზმის ფსიქოზით შეპყრობილ მენშევიკურ ნამსხვრევებისა) რომ საქართველო საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეშე, ნიშნავს ამ ქვეყნის დამოუკიდებლობის ისეთივე მაკარონის ბოძებზე შეყენებას, რომელზედაც ის გასაბჭოებამდე იდგა. ამიტომ ყველა რევოლიუციონერის მოვალეობაა ეს აშკარად და გადაჭრით სთქვას ყველგან და ყოველთვის. ერიდოს ყოველგვარ ორპოფობას და თავი დაანებოს ბუკისა და ნაღარის ცემას ნეპის მირაჟით შეშინებულმა.

სეითს თავიდანვე ახასიათებდა განსაკუთრებული გულწრფელობა და პირდაპირობა. მხოლო ამიტომ არის, რომ მისი დღესაც სჯერათ. სჯერათ იმ სეითის, რომელმაც დასწერა საშინელი პასკვილი რუსეთის „შესახებ: როგორ ცხოვრობენ საბჭოთა რუსეთში“: სჯერათ იმ სეითის რომელიც გესლით სავსე მოხსენებებს აკეთებდა საქართველოში დაბრუნების დღეებში მაშინდელ რუსეთის მდგომარეობაზე. ასეთ უსაზღვრო ნდობის დამსახურება იშვიათად ხვდება წილად რომელიმე პოლიტიკურ მოღვაწეს.

დღეს სეით დევდარიანი პროლეტარიატის დაქტატურას აღიარებს, მაგრამ ჩვენ მოვითხოვთ მისგან გარკვევით და გადაჭრით სთქვას, როგორ ესმის მას ეს დიქტატურა. უნდა გვითხრას მან ნათლად რა ეღობება წინ კომუნისტურ პარტიასთან საბოლოოთ მისვლაში. სანამ მას ეს არ უთქვამს, მანამ ვერ მოიხსნის ცოდვით სავსე ხურჯინს, რომელიც მას აჭკიდა მენშევიკურ პარტიის უკანასკნელ წლების „საქმიანობამ“.

აკაკი ჭყონია.

მოსკოვი.
17 თებერვალი 1924 წ.

ლონდონის კონფერენციისთვის.

მეორე ინტერნაციონალი სოციალისტური ინტერნაციონალია. მაკდონალდი ერთ-ერთი მისი მთავარ ბელადთაგანია. მუშათა კლასის მთავრობის სახელით ის ინგლისის პოლიტიკას მეთაურობს, ხოლო ამ პოლიტიკაში სოციალისტური იმდენია, რამდენიც რომის პაპის პოლიტიკაში. უკნაურია, მაგრამ მაკდონალდმა ისიც კი სთქვა, რომ მას სწყენია სიტყვა „სოციალისტიც“. სხვა რომ არა იყოს რა მარტო ეს განცხადება რათ ღირს? ჭეშმარიტათ, ეს განცხადება მეორე ინტერნაციონალის „ხორცი ხორცთაგან და სისხლი სისხლთაგან“ არის. ინგლისის ბურჟუაზიას ეს მოსწოვს, მაკდონალდს ტაშს უკრავს. მაკდონალდსაც ეს ტაში მოსწონს, ინგლისის ბურჟუაზიას ექათინაურება. ტყულათ კი არ ამბობს: კმაყოფილი ვარ ინგლისის საზოგადოებრივი აზრითო. ბებელი იტყოდა ხოლმე, როდესაც ბურჟუაზია მაქებს, ვფიქრობ, ჩემს თავს ვეუბნები ხოლმე: ბებერო ბებელო, რა სთქვი ისეთიო? ბურჟუაზიის ქება ბებელს შეურაცყოფათ მიაჩნდა, მაკდონალდს კი საამაყოთ. კაცია და გუნებაო, იტყვის ქართული ანდაზა. მაგრამ საქმე ამ გუნებაში როდია.

ლონდონის კონფერენციას რომ უაღრესი მნიშვნელობა აქვს, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია. ჩვენში უმთავრესათ ამ კონფერენციის სიმძიმის ცენტრი მისი ეკონომიურ მხარეზე გადაქვთ. მაგალითად: ფული გვჭირდება, სესხი გვინდა, ვალებს გადავიხდით, მაგრამ „იმდენათ-რამდენათ“; ვაჭრობა ერთი სიტყვით, თითქოს რაკოვსკი და მაკდონალდი სუხარევკაზე შეხვდენ ერთმანეთს. ერთს უნდა ძვირათ გაყიდოს, მეორეს უნდა იაფათ შეიძინოს. ეს ასეა, მაგრამ **ლონდონის კონფერენცია რომ საერთაშორისო რევოლიუციის პერსპექტივებში ჩავაყენოთ, კონფერენციის სიმძიმის ცენტრი ბაზრული ვაჭრობიდან რევოლიუციონურ პოლიტიკაში გადავა.**

მართლაც საერთაშორისო ძალები დღეს ორ ბანაკათაა დარაზმული. ძველი ტერმინოლოგიით ეს ბანაკებია ფაშიზმი და პროლეტარიატი. პროლეტარიატის ტრაღედია იმაშია, რომ ის არაა მთლიან ბანაკში შეკრებილი. აქაც ორი ბანაკია მეორე და მესამე ინტერნაციონალი. მათ შუა ისეთი ჰიდილია, როგორც შეეფერება მხოლოდ მტრებს. ჩვენი აზრით ლონდონის კონფერენციას გადამჭრელი მნიშვნელობა იმითი აქვს, რომ ორ ინტერნაციონალთა ჰიდილის დროს ფაქტიურათ ამ ინტერნაციონალთა კონფერენცია ხდება. საბჭოთა მთავრობა მესამე ინტერნაციონალის მთავრობაა. იქიდან იღებს ის დირექტივებს მართალია, ევროპის ბურჟუაზიასთან მოლაპარაკების დროს ჩვენი მთავრობის წარმომადგენლები იმიჯნებიან კომინტერნიდან, მაგრამ ეს დიპლომატიაა. ამით ჩვენ ვეუბნებით ევროპის ბურჟუაზიულ დიპლომატიას: მთელი თქვენი პოლიტიკა ფარისევლობა და მატყუარობაა; თქვენ გინდათ?—ჩვენც გატყვებთ, ბატონებო! არც მეტი, არც ნაკლები... მხოლოდ ჩვენს მუშებსა და გლეხებს ვეუბნებით: არც ერთი ნაბიჯი ჩვენი მთავრობისა და მისი წარმომადგენელთა არ ეწინააღმდეგება მესამე ინტერნაციონალის დირექტივებს. ასეთივე მდგომარეობას აქვს ადგილი ინგლისშიაც. მაკდონალდი, შოუ, ჰენდერსონი და სხვები ოფიციალურათ გამოვიდენ მეორე ინტერნაციონალიდან. ესე იგი მათ მოქმედებაში მეორე ინტერნაციონალი არ არის პასუხისმგებელი. მეორე ინტერნაციონალი სხვაა, მაკდონალდის მთავრობა სხვაა, თითქოს მათ შუა მზღვარი იყოს. და ეს მაშინ, როცა მეორე ინტერნაციონალის ფუძე ინგლისის მუშათა პარტიაა. ეს მუშათა პარტია აგზავნის სამთავრობოთ მაკდონალდებს, მაკდონალდები კი ამბობენ: სად ჩვენ, სად მეორე ინტერნაციონალიო. მაკდონალდს სიტყვა სოციალისტიც კი სწყინს, მაგრამ ეს თვალის ახვევაა. ფაქტიურათ **მაკდონალდის მთავრობა მეორე ინტერნაციონალის მთავრობაა.** რევოლიუციონურ სიტყვარში ამას ახსნა არ სჭირდება. არც ჩვენ გამოვუდგებით ამის მტკიცებას. **მეორე ინტერნაციონალი პასუხისმგებელია მაკდონალდის მთავრობის პოლიტიკაში. საერთაშორისო პროლეტარიატმა და უპირველესათ ყოვლისა საბჭოთა ფედერაციის პროლეტარიატმა ასე უნდა დააფასოს ეს.**

ამრიგათ ლონდონის კონფერენციის უკან დგანან მეორე და მესამე ინტერნაციონალი. ორივე ინტერნაციონალი თანაბრათ დაინტერესებულნი და პასუხისმგებელნი არიან ამ კონფერენციის მსვლელობაში და დაბოლოვებაში. ლონდონის ბანკირების განცხადებას რომ გადამჭრელი მნიშვნელობა მივაწეროთ, ეს იქნებოდა ჩვენთვის, როგორც რევოლიუციონერებისთვის, რევოლიუციის ხვეულების გაგებაში სუსტი ნიშნების გამოწერა. თუ ექვსი ბანკირი კადნიედება დეკლარაციამდის მით უარესი მეორე ინტერნაციონალისთვის, რომ მის წარმომადგენლებს ბანკირები ხელმძღვანელობენ. ვის უნდა მისცეს საბჭოთა ფედერაციის პროლეტარიატმა და გლეხობამ თორმეტ მილიარდ ნახევარი მანეთი ოქრო?—ინგლისის ბანკირებს. არ იცის ეს მეორე ინტერნაციონალმა? ვისთვის აიღო ეს ვალი ყოფილ რუსეთის იმპერიის მთავრობამ?—რუსეთის რევოლიუციის სისხლში ჩასახრჩობათ და პოლიციურ წყობილების გასამაგრებლათ. არ იცის ეს მეორე ინტერნაციონალმა? ვისი სისხლი, ოფლი და ცრემლი—უნდა გადადუღდეს ვალის გადასახდელ ოქროთი საბჭოთა ფედერაციაში?—მუშისა და გლეხისა. არ იცის ეს მეორე ინტერნაციონალმა?

იცის! იცის!

მაშ რათ არ აღიმალლებს ის ხმას? თუ ის არ ლოცავს მაკდონალდს, თუ არ იზიარებს მის პოლიტიკას რათ არ ეტყვის ამას საერთაშორისო პროლეტარიატს?

სდუმს მეორე ინტერნაციონალი და ამ შემთხვევაში მისი სიჩუმე მისი ხმა მაღლა თანხმობის ნიშანია მაკდონალდის პოლიტიკისა. ეს პოლიტიკა კი ბურჟუაზიული, მძარცველური პოლიტიკაა.

და რითაც არ უნდა დამთავრდეს ლონდონის კონფერენცია საერთაშორისო რევოლიუციის პერსპექტივებისთვის მან უკვე ნაყოფი გამოიღო. ეს ნაყოფია მეორე ინტერნაციონალის მიერ აშკარა დაცვა (სიჩუმით, თანხმობით) ინგლისის ბურჟუაზიის ინტერესებისა. საერთაშორისო პროლეტარიატმა აქედან თავისი დასკვნა უნდა გამოიტანოს და რაც უფრო ჩქარა მით, უკეთესი იქნება ეს საერთაშორისო რევოლიუციისათვის.

ასეთია საერთაშორისო რევოლიუციის პერსპექტივებში ლონდონის კონფერენციის მნიშვნელობა.

ეს არის მეორე და მესამე ინტერნაციონალის ერთხელ კიდევ შეჯახება და ამ შეჯახებაში უკვე ვხედავთ, რომ მეორე ინტერნაციონალმა დაკარგა ინტერნაციონალური იდეები რევოლიუციისა და მუშათა კლასისა. ის უკვე აღარ არის მარქსისა და ენგელსის ნაანდერძევი ინტერნაციონალი.

რ. ქორქია.

ჩვენ და ინგლისი

ამას წინეთ გახსნილი საბჭოთა რესპუბლიკების და ინგლისის კონფერენცია განაგრძობს მუშაობას.

მაგრამ მუშაობის პირველ დღეებშივე გამოირკვა, რომ ინგლისის კაპიტალისტებს, ბანკირებს არ დაუკარგავთ ჯერ კიდევ სავსებით იმედი ძველი ვალების განაღდებისა.

ისინი ჯერ კიდევ განაგრძობენ ოცნებას.

საინტერესოა ამ მხრივ ამ ვაჭბატონების მიერ წარდგენილი მემორანდუმი.

ამ მემორანდუმის უმთავრესი მუხლებია: სასახელმწიფო და კერძო ვალების ცნობა, შეთანხმება უცხოელთა კერძო საკუთრების საკითხში, საბჭოთა კავშირში ბურჟუაზიული სასამართლოს დაარსება (მათი აზრით „კანონიერ“, „ნორმალურ“ სამოქალაქო კოდექსის შექმნა), გარანტიები იმის, რომ მომავალში საბჭოთა კავშირში არ იქნება კონფისკაცია კერძო საკუთრების, დაბოლოს საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის გაუქმება.

როგორც ხედავს მკითხველი, ინგლისელ ბანკირებს ძლიერ დიდი მადა აღძვრიათ. მათ აღარ აკმაყოფილებს მარტო ვალების ცნობის საკითხი. ისინისაბჭოთა კავშირის შინაურ საქმეებში ერევიან. მოითხოვენ აქ ისეთ პროობების შექმნას, რომ მათ საუკეთესო პირობები ექნეთ სათარეშოთ. გახსნილი ხელებით იბოდიალონ ჩვენს რესპუბლიკებში და სავსებით გაგვხლართონ იმ ქსელში, რომელსაც „კოლონია“ ეწოდება სახელათ.

მართლაც რას ნიშნავს მაგალითად „ნორ-

მალურ სასამართლოს აღდგენის“ მოთხოვნა? განა ჩვენს რესპუბლიკებში არ არის სამართალი?

განა ჩვენს მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს არ აქვს სასამართლო?

რა თქმა უნდა აქვს, ჩინებული სასამართლოებიც არის, აქ მუშებით არის გავსებული მუშები და მშრომელი ხალხია მოსამართლე მსჯავრი დამდები, მუშური კოდექსი მოქმედებს და ასეთივე სამართალი ტრიალებს. განა არ იციან ინგლისის ბანკირებმა ეს ამბავი, რომ ჩვენ ჩვენი სახელმწიფოს წესების მიხედვით მართლაც რომ ნორმალური სამოქალაქო კოდექსიც გვაქვს და ნორმალური სასამართლოც? როგორ არ იციან, მაგრამ „სამართალი“ და „ნორმალური“ სხვადასხვა მცნებაა, სხვადასხვა შინაარსის მატარებელი, სხვადასხვა კლასების თვალსაზრისით. ჩვენი „სამართალი“ ბურჟუაზიული თვალსაზრისით, არ არ არის „ნორმალური“. არ არის ნორმალური იმიტომ, რომ ჩვენი სასამართლო არ იცავს ბურჟუაზიის ინტერესებს, მაგრამ განა ჩვენი თვალსაზრისით ინგლისის სასამართლო „ნორმალურია“? რა თქმა უნდა არა, ისიც კლასიურია, ბურჟუაზიული, როგორც ასეთი, ის არ იცავს მუშათა კლასის ინტერესებს, ინგლისის ეგრედ-წოდებული „დამოუკიდებელი“ სასამართლო არსებითად ერთ-ერთი მჭიელი იარაღია ბურჟუაზიის ხელში მუშათა კლასის დასამონავებლათ. ამ იარაღს ის საკმაოდ მოხერხებულად აჭრევინებს.

ჩვენ არ ვართ მომხრე ინგლისის სასამართლოსი, მაგრამ განა წარვადგინეთ მემორანდუმი ინგლისის სასამართლოს რეორგანიზაციის შესახებ? არა. არა, იმიტომ კი არა თითქოს ჩვენ ეს არ გვსურდეს, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ ძალიან კარგათ ვიცით, რომ ლაპარაკით კი არ წყდება საკითხები, ის ბრძოლის პროცესში გადაიჭრება ხოლმე. ინგლისის სახელმწიფოებრივ წესებს შესცვლის თვით ინგლისის მუშათა კლასი, ეს მისი საქმეა.

როდესაც ჩვენ თანამედროვე ინგლისთან ვლაპარაკობთ, ჩვენ არ მოვითხოვთ მისგან სახელმწიფოებრივი წესების შეცვლას.

არას ვიტყვით სხვა მუხლებზე ამ „ცნობილი“ მემორანდუმისა.

აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ინგლისის ბანკირებს ფრიად ძნელი საქმე განუზრახავთ: მშვიდობიანი გზით რევოლიუციის განიავება.

მან შეეცადა იარაღით, არა გაუვიდა რა, შეეცადა ბლოკადით, აქაც დამარცხდა.

ეხლა დიპლომატიური ხრიკებით სცდილობს ჩვენს შებოჭვას.

აქაც ხელებს დაიწვავს. საბჭოთა მთავრობა არავის მისცემს უფლებას ჩვენს შინაურ საქმეებში ჩარევისა. ინგლისთან და საზოგადოთ ევროპასთან დაახლოვება, კავშირის დაჭერა ჩვენ გვჭირია, მართალია ეს.

მაგრამ მაინც არა ნაკლებ სჭირიათ ჩვენთან კავშირი, ჩვენი ბაზრები, ხედლი მასალა. თუ ჩვენი გადაულაპვა განიზრახეს, ლუკმაც ნაცარში ჩაუვარდებათ.

ჩვენ კი ... მეშვიდე წელია, რაც ვართ ევროპის სახელმწიფოების მიერ რკალ შემორტყმული. და არა გვიშავს-რა, სხვებიც ამჩნევს, რომ დღითი-დღე „წონაში“ ვმატულობთ. არც ახლა „გავთხელდებით“ ჯავრით, თუ ინგლისელი ბანკირების დიდი მადა არ შეიკვეცება და დაწყებული მოლაპარაკება ჩაიფუშება.

დაუცდით იმ დროს, როდესაც ჩვენსა და ინგლის შორისს ლაპარაკი, მეტი წარმატებით დარჩება შესაძლებელი. ჩვენ ესეც შეგვიძლია.

ვ. ქოროშელი.

გულს გული იცნობს

შემთხვევით ჩამივარდა ხელში „Социалист. Вестник“-ის ივნვრის ნომერი.

აბრამოვიჩები და დანები თურმე მეტათ გაუჯავრებია რუსეთში სპეკულიანტების დაჭერას და მთელი წერილი უძღვნეს ამ ფაქტს.

ამ რამდენიმე თვის წინეთ მოსკოვში დაეპატიმრეს ბოროტი სპეკულიანტები და სპირტით მოვაჭრენი. ისინი გადაასახლეს სხვადასხვა ადგილას.

აბრამოვიჩის გაზეთი მეტად გაბრაზებულია ამით.

კვლავ დაიწყო გააფთრებული დაპატიმრება ვაჭრების. რამდენიმე ათასი ბირჟევიკები გადაასახლეს ცივ ქვეყნებში... სადაც მათ დაღუპვა მოელის.

ბუზღუნებს აბრამოვიჩის გაზეთი...

და ამ ფაქტში ეძებს ის საბჭოთა მთავრობის უკანასკნელ წუთებს, რომელიც თურმე ისე დაიბნა, რომ არ იცის რა ქნას.

საბრალო სოციალ-დემოკრატები!

როგორ იცნო გულმა გული!..

ნაცნობი.

ამხ. ფარნიევის მოხსენება.

(იხ. „სიმართლის ხმა“ № 24. გაგრძელება)

მარტო ეს არ იყო მიზეზები ჩვენი ყოფილი პარტიის დარღვევა-დაშლისა. თვით ნოე ჟორდანია სწერდა: „სოციალ-დემოკრატიული პროგრამა რას გიშველის, თუ საქმე ბურჟუაზიული გაქვს“. და რომ ჩვენ საქმე ბურჟუაზიული გამოგვივიდა, ეს განა დღეს ყველასათვის აშკარათ დასანახი არ შეიქნა? განა თვით ჟორდანია არ სწერდა „ჩვენ რომ ჩვენი საკუთარი პოლიტიკა გვეწარმოებია, ჩვენი სოციალისტური სახე აშკარათ გამოგვეჩინა და მათ ეს დაენახათ-უეჭველია, ჩვენსკენ არ წამოვიდოდენ და ჩვენი დროშის ქვეშ არ დადგებოდენ, მათთვის წითელი დროშა ნიშნავს არა კერძო საკუთრების მოსპობას, არამედ მისი გადიდება-გამრავლებას და ამიტომაც ასე აღტაცებით აფრიალებენ მას წარა-მარათ“? ეს მოკლე ციტატები იმის დამამტკიცებელია, რომ ჩვენი ყოფილი პარტია წშინდა სოციალისტურ პოლიტიკას კი არ აწარმოებდა, არამედ წვრილ ბურჟუაზიული პოლიტიკას და, რასაკვირველია, დიდხანს არ შეეძლო არსებობა ისეთ პარტიას, რომელსაც მიზნათ დაუსახავს კერძო საკუთრების საფუძვლების მოსპობის ნაცვლად მისი გადიდება-გამრავლება და თავის თავად ცხადია ასეთი მიზნების და პოლიტიკის მქონე პარტიები ვერც მუშების და გლეხების რევოლიუციონურ მოძრაობას გაუძღვებიან ბოლომდის. ამხანაგებო, ღალატი იქნებოდა ის, რომ ჩვენ დავმდგარვიყავით ბურჟუაზიული ან ნაციონალისტური პარტიების პლატფორმაზე და ხელი აგვეღო კერძო საკუთრების ძირითადი საფუძვლების მოსპობისათვის ბრძოლაზე. ჩვენ ასეთი რამ არ ჩაგვიდენია. ჩვენ პირიქით ჩვენი ყოფილი პარტია დაშლილად იმისთვის გამოვაცხადეთ, რომ მასში თავი მოიყარა ისეთი მისწრაფებების ხალხმა, რომელთაც წითელი დროშა კერძო საკუთრების გადიდება-გამრავლებისათვის უნდოდათ.

ჩვენ კომუნისტურ პარტიის პლატფორმაზე დავდექით არა ახლა, არამედ მას შემდეგ, რაც ჩვენში ჩამოყალიბდა—ჩაისახა რევოლიუციონური მოძრაობა. განა ჩვენ იმთავიდანვე მარქსის მეცნიერულ-რევოლიუციონურ სოციალიზმის-კომუნიზმის წინააღმდეგი ვიყავით? რა თქმა უნდა არა. განა კომუნისტური პარტია მარქსის მოძღვრებას არ უყრის საფუძველს, იმდენათ, რამდენადაც ეს შესაძლებელია? რა თქმა უნდა ესეც უდაოა. მაშ რაშია ჩვენი შეცდომა-დანაშაული—ღალატი? მხოლოდ და მხოლოდ იმაში, რომ ჩვენ არ გავყევით ბოლომდის „ცეკა“ს ავანტიურისტულ პოლიტიკას, არ გავხდით ბრმა იარაღი წვრილ ბურჟუაზიული მიზნების განხორციელებისათვის ბრძოლისა და მხოლოთ ამისათვის, დეე ამისათვის მსჯავრი დაგვდოს საერთაშორისო მუშათა კლასმა. ჩვენ, ამხანაგებო, კომუნისტებს ბოლშევიკებს დღეს არ ვიცნობთ, ჩვენ მათთან რთად ვიბრძოდით ყველა იმ პარტიების და კლასების-საზოგადოებრივი ჯგუფების დასამარცხებლათ, რომლებთან შეთანხმება და ბოლშევიკების—კომუნისტების დასამარცხებლად ბრძოლისკენ მოგვიწოდებდა „ცეკა“. ჩვენ არ შეგვეძლო ევროპის მმართველ წრეებთან კავშირის დაჭერის პოლიტიკისათვის მხარის დაჭერა და მათი გულის გასახარებელი საქმეების კეთება, როგორც ამას სჩადის „ცეკა“, ვინაიდან სწორეთ ეს იქნებოდა ღალატი და გაყიდვა მუშათა კლასის და მისი ინტერესების, ჩვენი მიზანი იყო, არის და იქნება მუშათა კლასის საბოლოვო მიზნების-სოციალიზმი-კომუნიზმის დამყარება-განხორციელება, რაიცა შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოთ და მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ მუშათა კლასს ექნება მხოლოდ და მხოლოდ ერთი პარტია, ვინაიდან წარმოუდგენელია ერთ კლასს, კერძო საკუთრების საფუძვლების მოსპობისათვის მებრძოლს ორი პარტია ჰქონდეს. აი, ამხანაგებო, მოკლეთ ის, რითაც ხელმძღვანელობდა შარშან აგვისტოში ჩვენი ყოფილი პარტიის სრულიად საქართველოს უკანასკნელი ყრილობა, როდესაც აუქმებდა პარტიას და დადგა მესამე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ, თქვენ ალბათ იცით ისიც, რომ „ცეკას“ თავმჯდომარე სეით დევდარიანიც დარწმუნდა იმაში, რომ მეორე ინტერნაციონალი აღარ არის მარქსიზმის გამტარებელი და ჩამოშორდა მას, თუმცა ჯერ-ჯერობით სრულიათ არ იზიარებს მესამე ინტერნაციონალის მთელ ტაქტიკას. რაში გამოიხატება სეით დევდარიანის მთავარი შეცდომები? რაში არ ვეთანხმებით სეით დევდარიანს?

(დასასრული იქნება).

წერილები პროვინციიდან

1-ლი მაისის დღესასწაული მანგლისში.

დილიდანვე იწყო დენა მანგლისის რაიონის ყველა სოფლებიდან დიდმა-პატარამ, ქალებმა-ვაჟებმა ყველა მორთული იყო სადღესასწაულოდ და დროშებით, მუსიკით (ზურნა და დაირა, გარმონი, სალამური) ნელ-ნელა მოიყარეს მანგლისის მოედანზე ლენინის ძეგლთან. მრავალი წარმოსთქმული სიტყვების შემდეგ სოფელი დიდი თონეთის გლეხებს თბილისის ტრამვაის კომიაჩეიკის წარმომადგენლებმა დროშა ჩაუბარეს, რამაც დიდი აღფრთოვანება გამოიწვია როგორც თონეთის გლეხებში, აგრეთვე დანარჩენებშიაც. ზეიმის შემდეგ ყველანი გაემართენ მუსიკით და სიმღერით ლენინის სახელობის მერძევეთა ამხანაგობის მიერ სარძევე ქარხნის გახსნაზე დასასწრებლად. მიუხედავად იმისა, რომ კოკისპირული წვიმა მოდიოდა და თან სეტყვაც, ხალხი მაინც განაგრძობდა სმენა-ყურებას და ზანტად იშლებოდა მხოლოდ საღამოს მოახლოვებისას. მანგლისის რაიონის გლეხობა, როგორც თვითონ აცხადებდენ, ორგვარ სიამოვნებას გრძნობდა, დღესასწაულს და წვიმას.

იმავე საღამოს შესდგა სოფელ დიდი თონეთის მცხოვრებლების კრება, სადაც განიხილეს წყალსადენის საკითხი და დაადგინეს, მოხდეს თვით დაბეგვრა შეძლების მიხედვით 3—4 ვერსის მანძილზე წყალსადენის გამოყვანის საჭიროებისათვის. ეთხოვოს ტრამვაის კომიაჩეიკას, რომელსაც შეფობა აქვს დიდ თონეთზე აღებული და 100 მანეთი ოქროთი უკვე შეგროვილი აქვს ამ წყალსადენის გამოყვანის ფონდისთვის, რომ ხელმძღვანელობა აიღონ თავის თავზე ამ საქმის საჩქაროთ დამთავრებისა. გლეხები ერთხმად გაიძახოდენ, წყალსადენის უქონლობა სოფლის სიკვდილია ამ საქმისთვის თუ საჭირო დარჩება, საქონლის ნახევარსაც გავყიდით, ვინაიდან უწყლობის გამო სულერთია გვეხოცებაო. დაადგინეს, რომ ერთი-ორი კვირის განმავლობაში შეგროვდეს 4000—5000 მანეთი, დანარჩენის შეგროვება კი მოხდეს ხარჯთ-აღრიცხვის საბოლოოდ შემუშავების შემდეგ. ფულის მცხოვრებთა შორის შეძლების მიხედვით განაწილება, მოგროვება და ბანკში შეტანა დაეევალა ადგილობრივი გლეხთა ურთიერთ დახმარების კომიტეტს, რომელსაც დაავალა კრებამ აგრეთვე რაიონის აღმასრულებელ კომიტეტის საშვალებით თბილისის აღმასკომის წინაშე შუამდგომლობა აღძრას, რათა უკანასკნელმა რომელიმე ბანკში კრედიტი გაუხსნას თონეთის მცხოვრებლებს წყალსადენის გამოსაყვანად ორი წლის ვადით.

დიდი თონელი.

პირველი მაისობა თელავის მაზრაში.

თელავის პარტკომის აგიტ-პროპი ენერგიულად ემზადებოდა პირველ მაისის დღის ჩასატარებლათ.

ამ დღისთვის განსაკუთრებით მობილიზაციით იყვენ მოწვეულნი აგრეთვე ყოფილ მენშევიკებიდან შემდეგი ამხანაგები: სოსო მაჭავარიანი, ნ. იმნაძე, ივ. დავთიანი· შ. ყარაულაშვილი, ალ. ჩიტოშვილი და ა. ღიბრაძე, რომლებიც პასუხისმგებელ ამხანაგებთან ერთად დატვირთული შესაფერისი თეზისებით, წიგნებ-გაზეთებით, ლოზუნგ-პლაკატებით სასწრაფოდ გაემგზავრნენ თავთავიანთ რაიონებში.

ერთი ასეთი ჯგუფიც შემდგარი 3 ამხანაგისგან: თამარა ცინცაძე, ს. რჩეულიშვილი და ივ. დავთიანი გაემგზავრა წინანდლის რაიონში.

—:—

ს. წინანდალი.

გათენდა **პირველი მაისი**, მშვენიერი გაზაფხულის კეკლუცი დღეა, ყველა დიდი თუ პატარა, გლეხი თუ მუშა, ქალი თუ კაცი მორთულ მოკაზმულნი გამოფენილან ქუჩებში, ბაღებში, ვენახებში.

სრულ 12 საათზე აღმასკომის ეზოში ამხ. კიზირია პროლეტარიატის ბრძოლისა და გამარჯვების და შრომის განთავისუფლების დღეს პირველ მაისის დღესასწაულის საზეიმო მიტინგს გახსნილად აცხადებს. მომხსენებლათ გამოდის ამხ. ს. რჩეულიშვილი.

დასასრულ მიტინგს გამოაქვს სათანადო რეზოლიუცია.

—:—

ს. შაშიანი.

წინანდალში გავიგეთ, რომ სადღეისოთ თბილისიდან ფოსტა-ტელეგრაფის ნაწილი, რომელსაც ს. შაშიანის შეფობა აქვს აღებული, მუსიკით, მრავალი რკინის გზის მუშებით და დრამატიული წრით მოდიანო, ტელეფონით დაგვიძახეს შაშიანიდან და ჩვენც ეტლით საჩქაროთ გავემგზავრეთ იქით.

გზაში გავიარეთ რამდენიმე სოფლები: აკურა, კალაური, ვანთა, ვაჩნაძიანი და სხვა, ყველგან ხალხი საზეიმოთ არის მომზადებული. აქ უნდა აღინიშნოს, რომ ის სოფლები, სადაც კომკავშირები მუშაობენ უფრო ცოცხლად გამოიყურებიან, კეკლუცად არიან მორთულ-მოკაზმული, ვიდრე დანარჩენები.

თურმე ჩვენდა საუბედუროთ ამ რაიონში არის ბევრი სოფლები, სადაც კომკავშირის უჯრედი არ არსებობს.

სრულ ორნახევარ საათზე გაისმა მუსიკის ხმა, მთელი არემარე შეინძრა, ყველა ფეხზე დადგა და წითელ დროშებით, პლაკატებით მიეგებენ თბილისელ სტუმრებს, თავიანთ შეფებს.

დანიშნულ ალაგას გაიმართა მიტინგი ამხ. გ. ჩეკურიშვილის თავმჯდომარეობით აქ სიტყვები წარმოსთქვეს თამარა ცინცაძემ, ივ. დავთიანმა, ურუშაძემ, ბარამიძემ, ივანიშვილმა და სხვებმა.

საღამოზე გაიმართა უფასო კონცერტი, გასართობები.

აქედან ჩვენ მივემგზავრებით ს. ურიათუბანში, სადაც დღესასწაულის ჩასატარებლათ წინასწარ გაგზავნილი ოყო ამხ. ს. წვეთხმაზაშვილი. მიტინგს ვეღარ მიუსწარით, მაინც დავათვალიერეთ სოფელი, კლუბი, რომელიც მოთავსებულია სომხების ეკლესიაში და სადაც ადგილობრივი კომკავშირი მთელი თავისი შემადგენლობით წარმოდგენის სამზადისში იყო.

ხალხი ყოველ მხარეს ქეიფობდა, ზეიმობდა...

მხოლოდ ერთი რამით ნაწყენი ოყო ურიათუბნის გლეხკაცობა, ის, რომ ამისთანა ბედნიერ დღეს თავიანთი შეფმა კავშირთა-კავშირმა არ ისურვა მობრძანება და შაშიანისავით გამხიარულება, მართლაც, ასეთ დღეს საჭიროა რომ შეფებმა უსათუოდ ინახულონ თავიანთი სოფლები და თბილი გრძნობით აღსავსე სიტყვებით და საქმით გაუმასპინძლდენ ხოლმე.

ივ. დავთიანი.

—:—

პირველი მაისობა სოფლად.

მატარებელით სადგურ თბილისიდან გავემგზავრეთ სოფელ ქარელისკენ შვფის სახელით 6 ამხანაგი თბილისის საყუდიდგან. ამ ბრწყინვალე დღეს ბუნებაც მხიარულად შეხვდა, გათენდა მშვენიერი მზიანი დილა საათის 7-ზე ჩვენ უკვე ქარელში ვიყავით. 8 საათზე დილით იწყო დენა ხალხმა მახლობელ სოფლებიდან მორთულ მოკაზმული და პლაკატებით შემკული ურმებით.

სრულ 12 საათზე ხალხი იყრის თავს საავათმყოფოს ეზოში. მიტინგს ხსნის აღმასკომის მდივანი ამხ. ოქროაშვილი, რომელიც მოკლედ და გარკვევით აღნიშნავს 1 მაისის მნიშვნელობას, ილაპარაკეს 17-მდე ორატორმა. მათ სრულიად ამოსწურეს ყველა საკითხები: შეეხნენ 1 მაისის მნიშვნელობას, ფულის რეფორმას, საშინაო და საგარეო მდგომარეობას და სხვა. მშვენიერი და მკვირცხლათ თქმული თანამედროვე ლექსებით გაუმასპინძლდენ მიტინგს ადგილობრივი სკოლის ბავშვები, რაც სიამოვნებით უნდა აღინიშნოს.

დასასრულ საზეიმო დღესასწაულს დაერთო კიდევ ერთი სასიამოვნო მოვლენა. მიტინგზე მოინათლა სამოქალაქო წესით ერთი ბავშვი, რომელსაც დაერქვა ხალხის მოთხოვნით „კრასნარმ“, წითელ ლაშქარ. ნათლია შეფის სახელით იყო ამხ. მირიმანოვი. ხალხი ძრიელ ნასიამოვნები ინტერნაციონალის სიმღერით დაიშალა; მეორე მიტინგი, რომელიც იყო მოწვეული სოფელ ზღუდში იქ დამსწრე ამხ. ცინცაძის გადმოცემით არა ნაკლები ზეიმით ჩატარებულა.

სიამოვნებით შეიძლება აღინიშნოს, „რომ ჩვენმ“ სოფელმა გაიღვიძა, ის სრულებით ჩვენთან არის, მხოლოდ საჭიროა მეტი ყურადღებით, ზედმეტი მოფიქრებით მოვეპყრათ მას და დარწმუნებული ვართ ამხ. ლენინის ნაანდერძევი „სმიჩკა“—დაახლოვება სოფელთან ნაყოფს გამოიღებს.

ნ. ჩ—ძე.

პირველი მაისი ბათუმში.

ბათომის მუშებმა ჯერ კიდევ ერთი თვის წინად აღნიშნეს გაზეთის ფურცლებზე: „მოვშორდეთ ერთი დღით ქალაქის ხმაურს, დაზგებს და პირველი მაისი ქალაქ გარეთ, მინდორში ვიდღესასწაულოთ“-ო.

მუშების სურვილი შესრულებული იქნა. დილის 8 საათიდან იწყო ხალხმა დენა „გოროდოკისაკენ“.

11 საათზე წითელმა დროშებმა დაფარეს ტრიალი მინდორი.

არა ჩვეულებრივი დღე დადგა. ხშირად გაიგონებდით: ამინდიც კი პირველ მაისობსო“.

საერთოდ ბათომში ხშირია წვიმიანი დღეები, მაგრამ ამ დღეს თითქოს ბუნებაც კი ზეიმობდა.

12 საათზე გაიხსნა მიტინგი. ამდენ მშრომელთა მოზღვავება ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ საბჭოთა ხელისუფლება მუშათა ფართე მასსებზე ემყარება.

აღსანიშნავია ამერიკის, საფრანგეთის, ინგლისის და იტალიის მუშების სიტყვები. განსაკუთრებული გრძნობით იყო წარმოთქმული იტალიელი მუშის გილის პასუხი. ის მხოლოდ 30 აპრილს გაყოლია გემს, „ვიცოდი გაზეთებით რუსეთის რევოლიუციის შესახებ, აქაური აბსოლიუტური თავისუფლება, მაგრამ ასეთი ერთსულოვნება, მშრომელთა ასეთი მწყობრ-გამოსვლას მაინც არ ველოდიო“. ამის შემდეგ ის უბრუნდება იტალიას და განაგრძობს: „თქვენ გეცოდინებათ, რომ ჩვენში იყო არჩევნები, მაგრამ არ იცით როგორ ხდებოდა ის, ფაშისტები „ბრაუნინგებით“ გვადგენ თავს და გვიბრძანებდენ ხმა ჩვენ მოგვეცითო, ამის და მიუხედავად ჩვენ მაინც შევძელით პარლამენტში 18 კომუნისტის გაყვანაო“. ევროპიელი მუშები დიდი აღფრთოვანებული წავიდენ და ფიცი დასდვეს იქაც მალე მოვახდენთ რევოლიუციასო.

მიტინგის შემდეგ გაიმართა „სპარტაკის“ მოხდენილი გამოსვლა, რაც მოზღვავებულმა ხალხმა მჭუხარე ტაშის ცემით აღნიშნა. დემონსტრატები წამოსული იყვნენ ოჯახობით და საგზლით. დღესასწაულმა დაბინდებამდე გასტანა.

შალვა გომართელი.

† დანიელ ჭიჭიკო კოპალეიშვილი.

სამტრედიიდან მოგვივიდა სამწუხარო ცნობა ამხ. დ. კოპალეიშვილის გარდაცვალებისა, იგი ეხლახან გაანთავისუფლეს ციხიდან და განახლებულის ენერგიით ფიქრობდა საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე მუშაობის გაგრძელებას.

მართალია ამხ. დანიელი არ იყო დიდი პოლიტიკური მოღვაწე, მდიდარი რევოლიუციონური წარსულის მქონე, მაგრამ მას ქონდა უეჭველად ერთი დიდი დადებითი თვისება, ის იყო დავალების პატიოსნად და ენერგიულად შემსრულებელი, მუდამ მომქმედი, რომელიც საერთო საქმეს ყოველთვის მაღლა აყენებდა და არასოდეს რაიმე პირადი გამორჩენის მიზნით გვერდი არ შეუქცევია მშრომელი ხალხის სამსახურისათვის.

ისე, როგორც ბევრი სხვანი თავის დროზე ისიც ერთი გატაცებული მუშაკი იყო მენშევიკური პარტიაში, რომლის მუდამ იმედიანი და ხალისიან სახეს არ დაივიწყებს განსაკუთრებით სამტრედიელი პარტიული ამხანაგები.

სრული წელიწადნახევარს იჯდა ციხეში და უკანასკნელ ხანამდის მტკიცედ იდგა ძველ პოზიციაზე, მაგრამ როდესაც ამხ. სეითის წერილების შემდეგ ყველასათვის აშკარა შეიქნა ძველი პოზიციაზე დარჩენის უაზრობა სხვა მრავალ ამხანაგებთან ერთად ისიც აწერს ხელს მენშევიკური პარტიიდან გამოსვლას და ჩვენ სრულიად დარწმუნებული ვართ ეს გადატეხა მასში იყო გულწრფელი და მტკიცე, რასაც იგი თავისი ჩვეული ხალისიანი მუშაობით დაამტკიცებდა, სიკვდილს ხელიდან რომ არ გამოეცალა.

სოფლის ღარიბი ოჯახის შვილი, რომელსაც 4 წლის უკან საბედისწერო სომეხ-ქართველთა ბრძოლაში დაეღუპა ძმა ბათუმის მუშებში საკმაოდ ცნობილი ძველი პარტიული ამხ. პავლე კოპალეიშვილი, დღეს მისი მოხუც დედას უკანასკნელი იმედიც გაუქრა ხელიდან, ხოლო ს. ეწერმა, სადაც იგი ცხოვრობდა, დაჰკარგა ერთი საერთო საქმისათვის თავდადებული და პოლიტიკურად საკმაოდ მომზადებული მუშაკი.

აკ. კალაძე

კვირიდან-კვირამდე

წარსულ კვირას დიდი საყურადღებო ამბები მოხდა გერმანიაში. ერთის მხრივ გერმანიის საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა კომუნისტურმა პარტიამ, მეორეს მხრით გერმანიის პოლიციამ თავხედურად გასჩხრიკა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის ბინა. ორივე ამ საკითხს საერთაშორისო ყურადღება აქვს მიქცეული და ამიტომ ჩვენც შევეხებით მოკლედ.

ჯერ არჩევნებზე. უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებში თითეული პარტია გამოვიდა თავისი საარჩევნო პლატფორმით. მაგ. სოც დემოკრატები მომხრე იყვნენ საფრანგეთისათვის გადასახადის მიცემის, კომუნისტები კი წინააღმდეგი. არჩევნების შედეგი ნათლად გვიჩვენებს იმას, თუ რის მომხრე ყოფილა გერმანიის მუშათა კლასი. ეს შედეგი ასეთია:

ოფიციალური ცნობის თანახმად სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს 5.970.000 ხმა, ცენტრმა—3.400.000 ხმა, გერმანიის ნაციონალურმა პარტიამ—5.755.000 ხმა, დემოკრატებმა—1.667.000 ხმა, ბავარიის სახალხო პარტიამ—1.142 ათასი ხმა, კომუნისტებმა—3.612.000 ხმა, ბავარიის გლეხთა კავშირმა—682.000 ხმა, კათოლიკურმა პარტიამ—318.000 და გერმანიის სოციალისტურმა პარტიამ—338,000 მემამულეთა კავშირის სიამ, რომელსაც მხარს უჭერდა ნაციონალისტები—568.000, ტევტონიის სახალხო პარტიამ—1.913.000 ხმა, დამოუკიდებელმა სოციალ-დემოკრატებმა—240.000 ხმა.

ხმების საბოლოოდ დათვლის შემდეგ მოსალოდნელია ზოგიერთი ცვლილებები.

7 მაისი პირველ ოფიციალური ცნობების თანახმად, გერმანიაში მომხდარ არჩევნებით სოციალისტებმა მიიღეს რეიხსტაგში 100 ადგილი, გერმანიის ნაციონალისტურმა პარტიამ—90, ცენტრმა—62 ადგილი, სახალხო პარტიამ—45, დემოკრატებმა—25, კომუნისტებმა—61, ბავარიის სახალხო პარტიამ—15, „ჰიტლეროველებმა“ („დეიტშე ფელკაშე პარტეი“)—32, კონსერვატიულმა აგრარულმა ლიგამ—9 ადგილი. ახალ რეიხსტაგში არჩეულია სულ 465 დეპუტატი.

აი როგორ ახასიათებენ არჩევნების შედეგს სხვა და სხვა გაზეთები:

ეხება რა არჩევნების შედეგს, „ფორვერტს“-ი აღნიშნავს, რომ ახალი რეიხსტაგი იქნება ნაკლებ საქმიანი, ვიდრე წინანდელი და ახლო ხანში საჭირო დარჩება ხელახალი არჩევნების დანიშვნაო.

„ფოსსიშე ცაიტუნგი“ და „ბერლინერ კურიერ“ საჭიროდ სთვლიან დიდი კოალიციის მთავრობის შედგენას, მაგრამ აფრთხილებენ, რომ ბურჟუაზიული ბლოკი ვერ დასძლევს მოსალოდნელ დაბრკოლებებს ერთადერთი გამოსავალი ღა იქნება ხელახალი არჩევნების დანიშვნა.

მთავრობის პრესა და „ფორვერტსი“ აღნიშნავენ, რომ ყველაზე დიდი გამარჯვება არჩევნებში წილად ხვდა კომუნისტებს. ტევტონელების იმედი არ გამართლდა, ნაციონალისტებს კი არა აქვთ ძალაუფლების ხელში აღების არავითარი შანსებიო.

* * *

ამ არჩევნების შემდეგ იბადება კითხვა: როგორი იქნება გერმანიის მთავრობის შემადგენლობა. ხმების შედარებითი უმრავლესობა აქვთ სოც.-დემოკრატებს და შესაძლებელია კოალიცია სოც.-დემოკრატების და სახალხო პარტიის, მათ მხარს დაუჭერენ ბურჟუაზიის მემარცხენე ჯგუფები, მაგრამ ოპოზიციაში ეყოლებათ ორი ძლიერი პარტია: ნაციონალისტების და კომუნისტების. ორი ფრაქცია უსათუოდ ბრძოლას გამოუცხადებს ასეთ კოალიციას და ის არ იქნება ხანგრძლივი.

არც მეორე კოალიცია ნაციონალისტების მეთაურობით გასძლებს დიდ ხანს, რადგანაც მასაც ოპოზიციაში ჩაუდგება საკმაო დიდი რაოდენობა პარტიებისა და მოხერხებულ დროს ასეთ კოალიციას ძირს დასცემენ.

„Как ни садитесь, все в музыканты не годитесь“—გამოდის. ამას გრძნობს სოც.-დე-

მოკრატიული პარტიის გაზეთი „ფორვერტსი“ და სწერს, რომ ალბათ საჭირო გახდება მალე ახალი არჩევნების დანიშვნაო.

ამ რიგად გერმანია კვლავ იწყებს მოუსვენარ ცხოვრებას და მზადდება სამინისტრო ოთურმები.

* * *

მეორე საკითხი, რომელიც საერთაშორისო ყურადღებას იქცევს, ეს არის ბერლინის პოლიციის მიერ საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის ბინის გაჩხრეკა და მით ექსტერიტორიალობის კანონის დარღვევა.

ბერლინში მყოფ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია: „ 3 მაისს შუადღისას პოლიციელების და საიდუმლო პოლიციის წარმომადგენელთა დიდი რაზმი შეიჭრა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის შენობაში. კანტორის შენობა დაკავებულ იქნა, თანამშრომლები გამორეკეს გარედ, საწერი მაგიდები და შკაფები გასტეხეს ხიშტებით, ყოველგან მოახდინეს ჩხრეკა. მოძრაობის თავისუფლება არ მისცეს თვით სავაჭრო წარმომადგენლობის ხელმძღვანელებსაც, რომლებიც ეკუთნოდენ დიპლომატიურ კორპუსს, ხოლო ერთერთ მათგანს პოლიციამ ჩამოართვა დიპლომატიური პასპორტი. სავაჭრო წარმომადგენლობის ზოგიერთ თანამშრომლებს მიაყენეს ფიზიკური შეურაცყოფაც ბევრი დააპატიმრეს და გადაგზავნეს საპოლიციო ბიუროში

პოლიციის მოქმედებას ხელმძღვანელობდა მთავრობის მრჩეველი ვეისი. პოლიციის მოქმედება მეტად უხეშ ხასიათს ატარებდა.

მიუხედავად იმისა, რომ სრულუფლებიანი წარმომადგენელი კრესტინსკი დაუყონებლივ გაემგზავრა გარეშე საქმეთა მინისტრთან შტრეზემანთან, რომელმაც დაუშვებლად სცნო პოლიციის მოქმედება და აღუთქვა ჩხრეკის დაუყონებლივ შეჩერება,—პოლიცია დარჩა წარმომადგენლობის შენობაში შუადღიდან 4 საათსა და 20 წუთამდე“.

სრულუფლებიანი წარმომადგენლობა უცქერის გერმანიის ხელისუფლების მოქმედებას, როგორც ექსტერიტორიალობის გაუგონარ დარღვევას და საერთაშორისო და დიპლომატიური ჩვეულებების უხეშად გათელვას.

ამ ინცინდენტის მიზეზი ვოლფის სააგენტოს ცნობით იყო შემდეგი გარემოება:

კომუნისტი ბოცენგარდტი დაპატიმრებული იყო ვიურტემბერგის პოლიციელების მიერ და გადაგზავნილ იქნა ბერლინში. იქ ბოცენგარდტმა აიძულა პოლიციელები წაეყვანათ ის სავაჭრო წარმომადგენლობის შენობაში, სადაც ვითომდა მოთავსებული იყო კაფე, სავაჭრო წარმომადგენლობის შენობაში ბოცენგარდტმა მოახერხა გაქცევა რამდენიმე თანამშრომელის დახმარებით, რომელთაც დაკავეს ვიურტემბერგის პოლიციელები და გაანთავისუფლეს ისინი მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ.

დაპატიმრებული სავაჭრო წარმომადგ. 5 თანამშრომელი მიცემული იქნებიან პასუხისგებაში დაპატიმრებულ კომუნისტის განთავისუფლებისათვის და პოლიციელების დაკავებისათვის, 3 თანამშრომელი დაპატიმრებულია სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის წინააღმდეგობის გაწევის გამო.

* * *

ამ ცნობაში საინტერესოა ერთი გარემოება პოლიციელები „მაგიდის“ ყუთებში და ქაღალდის პაპკებში ეძებდნენ დამნაშავეს. სასაცილოა, რომ ვინმემ სერიოზულად იფიქროს ან სთქვას მაგიდის უჯრებში და ქაღალდებში დაიმალა გაქცეული ტუსაღიო. აქ, ცხადია, სულ სხვა განძრახვა იყო და ამ განზრახვას ააშკარავებს გერმანიის კომპარტიის ორგანო „როტე ფანე“, რომელიც აღნიშნავს, რომ გერმანიის მთავრობას სურს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ პროვოკაციული გამოსვლით მოიგოს პუანკარეს გული.

მათ სურდათ იქ აღმოეჩინათ ბომბები და იარაღის საწყობები და დაეშინებიათ მაკდონალდი: არ შეუთანხმდე მაგ ბოლშევიკებს, თორემ წარმომადგენლობასთან ერთად იარაღს შეიტანენ ინგლისში და აგაფეთქებენო.

ლიტვინოვიც ასე ხსნის ამ გარემოებას:

საუკეთესო დამამტკიცებელი იმის, რომ პოლიცია მთავრობის ცენტრალურ ორგანოებთან შეთანხმებით მოქმედებდა, არის ის თავხედური ნოტა, რომელიც ამხ. კრესტინსკიმ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრისაგან მიიღო.

მუშებისა და გლეხების,—რომლებიც ყურადღებით ადევნებენ თვალყურს ჩვენს საგარეო პოლიტიკას,—შეკითხვაზე—ხომ არ არის ეს ინციდენტი გერმანიის მთავრობის მიერ ფრონტის შეცვლის მაჩვენებელი და მეგობრული ურთიერთობის დასასრული,—შეიძლება გადაჭრით უარყოფითი პასუხის მიცემა. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაშვება იმ აზრის, რომ გერმანიის მთავრობა სერიოზულად ისწრაფოდეს გერმანიისა და საბჭოთა კავშირს შორის არსებული ურთიერთობის შეცვლისაკენ. გერმანიის ადმინისტრაციის მოქმედება ადვილათ შეიძლება აეხსნათ: გერმანიის მთავრობას, სარეპარაციო საკითხის განხილვის დაწყების გამო სურს „ასიამოვნოს“ პუანკარეს, რომელიც დაინტერესებულია—ერთის მხრით რუსეთ გერმანიის მეგობრული ურთიერთობისათვის ხელის შეშლაში და მეორეს მხრით რუსეთ-ინგლისის მოლაპარაკების ჩაშლაში. გაჩხრეკას ის მიზანი ჰქონდა, რომ ფიქრობდენ თითქო წარმომადგენლობის შენობაში ბომბები, იარაღის საწყობი ან სხვა ამგვარი რამ აღმოჩნდებოდა, რომ ამით შეეშინებიათ მაკდონალდი, მიეშალათ კონფერენცია ან ყოველ შემთხვევაში შეემცირებიათ კონფერენციის წარმატებით დასრულების შანსები, ვინაიდან ინგლის-რუსეთის ეკონომიური დაახლოება არა მარტო ეწინააღმდეგება პუანკარეს გეგმებს, არამედ გერმანიის ზოგიერთ სავაჭრო წრეებსაც, რომლებშიც დიდ შიშს იწვევს საბჭოთა მთავრობის მიერ ინგლისში დიდი კრედიტების მიღების შესაძლებლობა და ინგლისში ჩვენი იმპორტის გაძლიერება გერმანიის ხარჯზე.

მაგრამ შეთქმულება ჩაიშალა: მიღებული შედეგები ვერ გაახარებენ გერმანიის მთავრობას, ვინაიდან ამ აქტმა დიდი ზიანი მიაყენა რუსეთ—გერმანიის ურთიერთობას, რაც ნათელია თვით გერმანიის მთავრობისათვის, რომელზედაც ახლა დამოკიდებულია ინციდენტის ლიკვიდიცია და მისი მძიმე შედეგების აცილება.

დასასრულ ამხ. ლიტვინოვმა გამოსთქვა ღრმა რწმენა, რომ გერმანიის მთავრობა შესაფერად დააფასებს რუსეთ-გერმანიას შორის მეგობრული ურთიერთობის მნიშვნელობას, გამოიჩენს საკმაო კეთილ სურვილს და ჩქარა გამოასწორებს დაშვებულ შეცდომასო.

* * *

საბჭოთა კავშირის და ინგლისის კონფერენცია ლონდონში წარმატებით მიმდინარეობს. მუშაობა მიმდინარეობს კომისიებში. პლენარული სხდომა ჯერ არ მომხდარა. კომისიას არაკი განუხილავს ჯერ ისეთი საკითხები, რომელთაც შეეძლოთ დაბკოლებების გამოწვევა. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთი და ამერიკა ცთილობს ჩაიშალოს ეს კონფერენცია, არის იმის ნიშნები, რომ კონცერენციაზე შეთანხმება იქნება მიღწეული.

სია, ვისაც ეგზავნება ჟურნალი

რედაქციის ცნობით ჩვენი ჟურნალის ზელის მომწერლები და აგენტები თავის დროზე ვერ იღებენ ჟურნალს. ზშირად მიდის იმაზე ნაკლები, რამდენიც გამოწერილია. ყველა აგენტს და ხელისმომწერთ ვსთხოვთ დაუყონებლივ გვაცნობონ დანაკლისის, ან ჟურნალის თავის დროზე მიუღებლობის შესახებ.

ჟურნალი ეგზავნებათ შემდეგ პირთ.

თბილისში. 1. დეპოში ნ. ჩლაიძეს 140 ც.
2. მთავარ სახელოსნოში 200 ც.
3. არსენალში—ვარსიმაშვილს 25 ც.
4. ტრამვაიში—მინასარიანს 60 ც.
5. სასაკლაო—ბესოშვილს 32 ც.
6. ნავთლული—ვაჭარაძეს 30 ც.
7. **პროვინ.** ბათომი შ. გომართელს 25 ც.
8. ხაშური—ლ. ბერაძეს 70 ც.
9. საგარეჯო—ტ. მაისურაძეს 10 ც.
10. თელავი—დავითიანს 25 ც.
11. ახალქალაქი—შ. ნაცვლიშვილს 5 ც.
12. სამტრედია—ტორონჯაძეს 200 ც.
13. სენაკი—ბაზიარს 15 ც.
14. ბორჯომი:—როსტომაშვილს 35 ც.
„ —მუხურაშვილს 30 ც.
„ —ელისაშვილს 10 ც.
15. გორი—ა. ჩუტკერაშვილს 100 ც.
16. სოხუმი საოლ. პარტკომს(ჯულელ) 15 ც.
17. შორაპანი-დეპო ვ. მაჭავარიანს 10 ც.
18. სიღნაღი გელაშვილს 15 ც.
19. ხონი გალდავაძეს 25 ც.
20. ფოთი მახარაძეს (ჩემოს კანტ.) 15 ც.

რედ. სთხოვს აგენტებს გაუსწოროს რედაქციას ანგარიშები.

ქრონიკა

ჩვენი ჟურნალის ამ ნომერში დაბეჭდილია ნ. ჟორდანიასადმი მიმართვა ყოფილი მენშევიკების, ნ. ჟორდანიას პასუხი ამ მიმართვაზე და ნ. ჟორდანიას პასუხის საპასუხო წერილი. ჟორდანიას პასუხი დაბეჭდილია უცვლელად.

6 მაისს წითელ სასახლეში გაიხსნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ორგანიზაციები. ყრილობა.

1 მაისის დღესასწაული მთელ საქართველოში დიდის ზეიმით და დღესასწაულით ჩატარდა.

ფულის რეფორმა დაუბრკოლებლივ მიმდინარეობს. საქონლის ფასები თანდათან იწევს დაბლა. ხურდა ფულის ნაკლებობა სრულიად არ არის.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ გამოსცა დეკრეტი, რომლის ძალით საქართველოს გასაბჭოების 10 წლის თავისათვის მოსპობილ უნდა იქნას წერა-კითხვის უცოდინარობა.

თემთა პალატაში მაკდონალდს შეეკითხენ საქართველოს მდგომარეობის შესახებ. მაკდონალდმა უპასუხა, რომ საკითხი საქართველოს შესახებ არის მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა კავშირის შინაური საქმეო.

ჩვენშიაც მოქმედებს ინტერვენციით გამოწვეულ ზარალის გამომრკვევი კომისია. ყველა დაზარალებულებმა უნდა მიაწოდონ ცნობები ამ კომისიას.

სხვა და სხვა ამბები.

გერმანიაში საპარლემენტო არჩევნებში გაიმარჯვა კომპარტიამ და ნაციონალურმა პარტიამ. კომპარტიამ ნაცვლად 15 მანდატისა მიიღო—62. ხოლო ნაციონალისტებმა მოიგეს—51 ადგილი. წინეთ ჰქონდათ 45 ადგილი. სოც. დემოკრატებმა დაჰკარგეს 86 მანდატი. ნაცვლად 186—ახლა აქვთ 100 ადგილი.

ხმები ასე განაწილდა: სოც. დემოკრატებმა მიიღეს—5.970.000 ხმა, ნაციონალურმა პარტიამ—5.755.000 ხმა, კომუნისტებმა—3.612.000 ხმა, ცენტრმა—3.400.000 ხმა, ბავარიის სახალხო პარტიამ—1.642.000 ხმა, ტევტონის სახალხო პარტიამ—1.913.000 ხმა, დემოკრატებმა—1.557.000 ხმა, დანარჩენმა წვრილმა პარტიებმა მიიღეს უმნიშვნელო რაოდენობა ხმებისა. **კომინტერმა** გერმანიის კომპარტიას გაუგზავნა მისალოცი დეპეშა არჩევნებში გამარჯვების გამო.

11 მაისს საპარლამენტო არჩევნები დანიშნულია საფრანგეთში. მეტად საინტერესოა, თუ რა შედეგებს მოგვცემს ის არჩევნები.

ინგლის-საბჭოთა კონფერენცია წარმატებით მიმდინარეობს. არის ნიშნები იმისა, რომ შეთანხმება მიღწეულ იქნება.

4 მაისს ბერლინში გერმანიის პოლიციის მიერ თავხედურად გაჩხრეკილ იქნა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის სადგომი. ამის გამო მოხდა ნოტებით გაცვლა-გამოცვლა საბჭოთა კავშირისა და გერმანიას შორის.

უკანასკნელ ხანებში მოხდა დაახლოვება ამერიკასა და საფრანგეთს შორის. საფრანგეთი ყოველნაირად ხელს უწყობს ამ დაახლოვებას, რადგანაც ევროპაში ის გაირიყა. უკანასკნელი მეგობარი—ბელგიაც კი ჩამოშორდა მას.

ამერიკის არჩევნებში იმარჯვებს პრეზიდენტი კულიჯი. მისი ერთად ერთი მეტოქეა დჯონსონი, რომელსაც კულიჯი ყველა შტატებში ამარცხებს.

ამერიკის სენატის მიერ იმიგრაციის შემზღუდველი კანონის მიღებამ პროტესტი გამოიწვია იაპონიის და ჩინეთის მხრით, ამ გარემოებამ გააუარესა იაპონია ამერიკის დამოკიდებულობა.

ლოძაში (პოლონეთში) მთავრობამ დაატუსაღა 25 კომუნისტი, რომელთაც დააბრალეს კომუნისტური აგიტაციის წარმოება.

ბელგიის მთავრობა მოლაპარაკებას იწყებს საბჭოთა კავშირთან ურიდიულად ცნობის შესახებ. ეს არ მოსწონთ საფრანგეთში.

მიმდინარე წელს გერმანიამ უნდა მისცეს სამხრეთ სლავიას საკონტრიბუციო გადასახადის ანგარიშში 85 მილიონ მარკის საქონელი.

კუნძულ სიცილიაზე შენდება ახალი ქალაქი, რომელსაც სახელად არქმევენ „მუსოლინიას“.

შვეიცის პარლამენტმა უკვე დაამტკიცა სავაჭრო ხელშეკრულება საბჭოთა კავშირთან.

იმ ინცინდენტის გამო, რომელიც მოხდა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმოადგენლობის შენობაში საბჭოთა კავშირის წარმოგენელმა ამხ. კრესტინსკიმ უკვე დასტოვა ბერლინი და გაემგზავრა მოსკოვში.

გერმანიის პრესა პროვოკაციას და აგიტაციას ეწევა საბჭოთა კავშირის მიმართ. ამით სურთ ასიამოვნონ პუანკარეს.

ინგლისის პრესა აღშფოთებულია გერმანიის მთავრობის საქციელით.

საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობამ ბერლინში უარი განაცხადა კელნის ბაზრობაზე მონაწილეობის მიღებაზე. ვაჭრობა გერმანიასთან შეწყდა.

მაკდონალდმა არ მიიღო ბანკირების დეპუტაცია. რუსეთის თეთრ-გვარდიელები ცდილობენ ინგლის-საბჭოთა კავშირის კონფერენციის ჩაშლას.

წერილები რედაქციის მიმართ.

მე ვმუშაობდი სოციალ-დემოკრატიულ მენშევიკურ პარტიაში თბილისის ორგანიზაციის მე-4-ე კოლექტივში საქართველოს დამოუკიდებლობამდე. დაარსდა თუ არა ზურაბოვის ჯგუფი მე მაშინათვე ზურგი შევაქციე მენშევიკურ პარტიას და ვიყავი და ვითვლებოდი ინტერნაციონალისტებთან. ეხლა, როდესაც საქართველოს ემიგრაცია ჟორდანიას მეთაურობით განაგრძობს საერთაშორისო ფაშიზმთან კავშირს და სურს სისხლში ჩაახრჩოს საქართველოს კომუნისტური სამშობლოს მშრომელი მასები, ბრმამაც კი დაინახა მათი გამყიდველობა და დაცემა-გათახსირება. ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ვაცხადებ, რომ მე ვწყვეტ ყოველგვარ კავშირს სოც.-დემოკრატიულ პარტიასთან. ვრჩები რა ყოველივე პარტიის გარეშე, მოვალეთ ვთვლი ჩემს თავს ყოველივე ჩემი ნაბიჯებით ხელი შეუწყო კომპარტიას, რომელიც არის ნამდვილი ინტერნაციონალისტური და უკიდურესი სამართლიანობის გამახორციელებელი მთელ მსოფლიოში.

გიორგი ძამოევი.

გაუგებრობის გასაფანტავად

მე ვმუშაობდი ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციაში, ქუთაისში 1917 წლიდან და ვიზიარებდი ყოველთვის მემარცხენე ფრთის პოზიციას (იხ. ჩემი წერილი ახალი უთანხმობა“ ა—იას ფსევდონიმით „მესამე ინტერნალში“ № 5). მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი სოც.-დემოკრატია (1920 წ.) მე ვმუშაობდი ამ პარტიაში. მისი თვითლიკვიდაციის შემდეგ 25 აგვისტოდან 1923 წლიდან ვდგევარ მესამე ინტერნაციონალის პლატფორმაზე.

ეს არ გამომიცხადებია მე მაშინ და ამან გაუგებრობა გამოიწვია ზოგ ამხანაგებს შორის. ამ გაუგებრობის გასაფანტავად ვათავსებ ეხლა ამ განცხადებას.

აგია თადეოზის ძე ბოჭორიშვილი.

მე ვირიცხებოდი სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის წევრათ 1918 წლ. მთელი ჩემი ძალღონით ვემსახურებოდი მის იდეალს 1923 წლამდე, ამ წლის შემდეგ, მაგალითად ამხანაგ გიორგაძის მკვლელობა და ამ პარტიის ბელადის სეით დევდარიანის წერილების გამოქვეყნების შემდეგ დავრწმუნდი მასში, რომ ჩვენი გზა ყოფილა შემცდარი, მე ვტოვებ ამ პარტიას და გულწრფელათ ვდგები მე-3-მე ინტერნაციონალურ დროშის ქვეშ მდგომ ამხანაგების რიგებში.

ივანე ვასილის ძე ზაქარიაშვილი.

სარედაქციო კოლეგია: ნ. ჩლაიძე. ა. ფარნიევი. ა. რუხაძე. კ. თოფაძე. გ. ვარდოიანი.

ს. ს. მ. უ. ს. პოლ. განყოფ. 1-ლი სტამბა შეკვ. № 1794. ნებადართულია ლიტ., გამ. და მართ. მიერმთავ. № 1377. ტირაჟი 1600